ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 6 ნოემბერი 2007 №257 (3180) ფასი 50 თეთრი


# არა პოლიტიკას!





## კახა კალაძე და საქართველოს სარაგბო თემი: ერთი ყველასთვის, ყველა საქართველოსთვის!

საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურმა მოვლენებმა სპორტული სამყაროს ყურადღებაც მიიქცია — ჩვენი სპორტსმენები პოლიტიკოსებს საერთო ენის გამონახვისა და ვითარების დაწყნარებისკენ მოუწოდებენ. მორაგბეთა ოფიციალურ წერილი და საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების კაპიტან კახა კალაძის სიტყვა — ამ ყველაფერს დღევანდელ „სარბიელში" წაიკითხავთ და დავიტოვოთ იმედი, რომ ქართული პოლიტიკური ცხოვრება ნელ-ნელა ჩადგება იმ კალაპოტში, რომელიც, რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, ქართველი ხალხისთვის იქნება მისაღები...

**კახა კალაძე:** „ერთადერთი გამოსავალი დიალოგია. თუ ახლა ქვეყანაში რამე მოხდა, საქართველო ვეღარ გადარჩება. ვფიქრობ, პოლიტიკოსებმა ქვეყნის ინტერესი უფრო მაღლა უნდა დააყენონ, ვიდრე პირადული. საშინლად მეცოდება ჩემი ხალხი, რომელსაც პოლიტიკოსები თავიანთი მიზნებისთვის იყენებენ. თავად სილატაკეში გავიზარდე — დედა ორცხობილას ყიდიდა და ამით გაგვქონდა თავი. ის, რაც დღეს მე გამაჩნია, უდიდესი შრომის შედეგია. მაგრამ ისიც მახსოვს, როგორ გვიჭირდა. პოლიტიკოსების ქმედებებით ყველაზე მეტად ყოველთვის უბრალო ხალხი იჭყლიტება".

### საქართველოს სარაგბო თემის განცხადება

საქართველოს სარაგბო თემი იყო, არის და მომავალშიც იქნება აპოლიტიკური, საზოგადოებრივი გაერთიანება, რომლის მიზანი საქართველოს კეთილდღეობაა.

ჩვენ, ჩვენი ცხოვრების წესით, რომელიც არ შეცვლილა და არც შეიცვლება, დავამტკიცეთ, რომ თემის თითოეული წევრი ყოველთვის იდგა და დღესაც დგას სამშობლოს ინტერესების დამცველთა შორის, როგორც მოედანზე, ისე მის გარეთ.

ქვეყნის უახლეს ისტორიაში მორაგბეები ყოველთვის იყვნენ მოწინავეთა შორის: ეს იყო დედა-ენის, 9 აპრილის, სამაჩაბლოსა და აფხაზეთის მოვლენები.

საქართველოს სარაგბო თემი, საქართველოს მოსახლეობის განუყოფელი ნაწილი, ყველას მოგმართავთ თხოვნით, თავი შეიკავოთ ვინმეს მხარდასაჭერ პოლიტიკურ პროცესებში ჩვენი ჩართვისგან.

ჩვენ გვინდა წესრიგი, სტაბილურობა, ქვეყნის კეთილდღეობა, მისი მთლიანობა. ყოველივე ამისთვის, საქართველოს სარაგბო თემი, დღესაც და და მომავალშიც, თავისი თავდადებით იქნება სრულიად საქართველოს ინტერესების დამცველი, მისთვის სიხარულის მომნიჭებელი, სამშობლოსთვის ჯანსაღი თაობის აღმზრდელი და მოამაგე. ჩვენი დევიზიც ხომ ესაა: ერთი ყველასთვის, ყველა საქართველოსთვის!

## ვინ იქნება შემდეგი?

ერთი ტურიც და, საქართველოს თასის ჯგუფური ეტაპი დასრულდება. გასარკვევი კიდევ ბევრი რამ დარჩა, თუმცა ისე როგორ იქნებოდა, ბევრი რამეც ვადამდე არ გადაწყვეტილიყო. გადაწყდა ის, რომ „დილა", „ამერი", „სპარტაკი", „ბორჯომი" და „ზესტაფონი" მეოთხედფინალში არიან და სამ გუნდსაც ელიბიან. გუშინდელ ტურში კი ყველაზე მეტად თვალშისაცემი გუნდების უცნაური შემადგენლობები იყო. „დინამომ", „ვიტ ჯორჯიამ" და „ზესტაფონმა" ისეთი ფეხბურთელებიც ათამაშეს, მესამე შემადგენლობისად რომ ითვლებიან. თუმცა გასაკვირიც რა არის — ხუთ დღეში ხომ ჩემპიონატის ჯადო-ტურია: „დინამო" — „ზესტაფონი" და „ამერი" — „ვიტ ჯორჯია" და მთავარი ფეხბურთელების შენახვა-დასვენებისთვის მწვრთნელებს, აბა, ვინ დაძრახავს...



ამერელი დავით ბოლქვაძის (№17) გამარჯვების გოლი „მესხეთის" კარში

სპარტაკი ცხინვალი 4:0 ტორპედო ქუთაისი
მესხეთი ახალციხე 1:2 ამერი თბილისი
ლოკომოტივი თბილისი 0:1 მაღაროელი ჭიათურა
ვიტ ჯორჯია თბილისი 3:2 დინამო თბილისი
ბათუმი 0:0 მერანი თბილისი
ბორჯომი 2:1 ოლიმპი რუსთავი
მგლები ზუგდიდი 2:0 ზესტაფონი
დილა გორი 4:0 კახეთი თელავი




## გარდაიცვალა ნილს ლიდჰოლმი

გუშინ, იტალიურ ქალაქ კუსაროში, 85 წლის ასაკში გარდაიცვალა ლეგენდარული შვედი ფეხბურთელი ნილს ლიდჰოლმი.

ძველი თაობის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელი იტალიური „მილანის" სიმბოლო იყო. სწორედ ის, გუნარ გრენი და გუნარ ნორდალი შეადგენდნენ საფეხბურთო სამყაროში ცნობილ შვედურ ტრიოს „გრე-ნო-ლი".

ლიდჰოლმი გახლდათ შვედეთის ნაკრების კაპიტანი და კაცი, რომელიც უყვარდათ...

# ყენია თამაშს მალე შეძლებს



თბილისის „ლოკომოტივის“ მთავარი მწვრთნელი გიორგი კიკნაძე გუშინწინ ღამით დაბრუნდა გელზენკირხენიდან — იგი თავის დიშვილ ლევან ყენიასთან იყო.

მოგეხსენებათ, ყენია ახლახან გადავიდა „შალკეში“ და, ბუნებრივია, კიკნაძეს ლევანის ამბავი ვკითხეთ...

„ყველაფერი კარგადაა. ლევანი იოლად შეეგუა ახალ გარემოს. მას ჯერაც არ აქვს თამაშის უფლება, მაგრამ რამდენიმე დღეში ყველაფერი მოგვარდება და განაცხადშიც შეიყვანენ“ — გვითხრა კიკნაძემ.

**ნუძრი ლოლაძე**

# დევაძეს ძმაკაცი არ შორდება

მე და ტრავმა ძმაკაცები ვართო, დანანებით გვითხრა აკაკი დევაძემ, რომელმაც მიმდინარე სეზონის პირველ ტურში, „მესხეთი“ — „მგლების“ მატჩში დაშავდა და მას შემდეგ არ უთამაშია.

თამაშს ვინ ჩივის, საქართველოს ნაკრების ყოფილი მეკარე სასწრაფო ოპერაციას საჭიროებს — მარცხენა ხელი ჯერაც ძალიან სტკივა.

„სწორედ მარცხენა ხელი ვიტკინე „მესხეთთან“ თამაშისას, გამებზარა და ვმკურნალობდი. ეტყობა, მერე ნაადრევად დავიწყე ვარჯიში. ვარჯიშიც არ ჰქვია, ჩავედი ზუგდიდში, ერთხელ გადავხტი ბურთზე და ისევ დამეწყო ტკივილი. საშინელ დღეში ვარ. რომ წარმოვიდგენ, რამდენი ტრავმა მქონია და რამდენს გავუძელი, მართლა მაგარი ვყოფილვარ“ — გვითხრა დევაძემ.

36 წლის მეკარე ოპერაციას ამ დღეებში გაიკეთებს.

**ილია ნანოზაშვილი**



# საქართველოს ჭაბუკთა ლიგა

**1991 წელს დაბადებულები**

მე-9 ტური

დასავლეთი ზონა

მგლები 2:3 სპარტაკი

მესხეთი 1:2 მართვე

ბორჯომი 1:0 ზესტაფონი

დილა 0:3 ბათუმი

აღმოსავლეთი ზონა

მე-10 ტური

ნ. დინამოელი 1:0 ოლიმპი

ვიტ ჯორჯია 2:1 ავაზა

სიონი 2:1 ერთობა

**1992 წელს დაბადებულები**

მე-9 ტური

დასავლეთი ზონა

მგლები 4:1 სპარტაკი

მესხეთი 0:4 მართვე

ბორჯომი 1:4 ზესტაფონი

დილა 2:0 ბათუმი

აღმოსავლეთი ზონა

მე-10 ტური

ვიტ ჯორჯია 3:3 ავაზა

სიონი 2:3 ერთობა

ნ. დინამოელი — ოლიმპი გად.

## ინგლისი

პრემიერლიგა. XII ტური

სითი 1:0 სანდერლენდი

ჩემპიონატი XV ტური

ბარნსლი 2:1 ბლექპული

## გერმანია

II ბუნდესლიგა XII ტური

გლადბახი 2:1 კარლ ცაისი

## პორტუგალია

სუპერლიგა IX ტური

მარიტიმუ 0:1 გიმარაეში

## იტალია

სერია C1/B XII ტური

ლუკეზე 3:1 არეცო

## სლოვაკეთი

I ლიგა. XV ტური

სლოვანი 1:2 არტმედია

## საფრანგეთი

მეორე დივიზიონი XV ტური

ბულონი 4:0 ნანტი

## დანია

სუპერლიგა. XV ტური

ვიბორგი 0:2 ოდენსე

## უნგრეთი

ბორსოდი ლიგა. XIII ტური

ფეჰერვარი 0:0 დებრეცენი

## ჩეხეთი

გამბრინუს ლიგა XII ტური

იაბლონეცი 1:2 ლიბერეცი

## დავით ყიფიანის თასის ყაზბეგის გათამაშება

### ჯგუფური ეტაპი. მეხუთე ტური

www.pfl.ge




# წამობრივი აღრიცხვა

## ჩიხრაძემ სანაკრებო პაუზა გამოიყენა

ახალციხე. 5 ნოემბერი. 14 საათი. მ. იაძე. 400 მაყურებელი

**მესხეთი 1:2 ამერი**

0:1 დეკანოსიძე (25), 1:1 ლონლაძე (59), 1:2 ბოლქვაძე (71)

| მესხეთი | ამერი |
|---|---|
| მესხეთი: ძამუნაშვილი, ვ. აკოფიანი (ინასარიძე 73), ჟვანია, კობესაშვილი, ლეკიშვილი, ზ. ჩხეტიანი, ძამსაშვილი, გ. თურმანიძე, გვირჯიშვილი, აფრიამაშვილი (მ. აკოფიანი 46), გ. სუდაძე (მ. ლონლაძე 46) | ამერი: ქვაჩახია, კაკაშვილი, დავითნიძე, ჩიკვილაძე, ელბაქიძე, ჯელაძე (შალამბერიძე 50), მესხი, დობროვოლსკი, დეკანოსიძე (ა. ალავიძე 88), ბოლქვაძე (კობაური 79), რ. გოცირიძე |
| სათადარიგონი: ციხელაშვილი; ქობორაშვილი, კველიშვილი, ზ. სუდაძე | სათადარიგონი: ლ. ნადირაშვილი; დ. მჭედლიშვილი, ცხადაძე, ვარდოსანიძე |
| მწვრთნელი: კობა თედიაშვილი | მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე |

გაფრთხილება: ბოლქვაძე (79)

მსაჯები: დ. ხარიტონაშვილი; ლ. მიქელაძე; ა. გუნთაძე; ვ. ელისაბედაშვილი

**კოტე კეკელია ახალციხიდან**

**A ჯგუფში** უმნიშვნელოვანესი მატჩი სწორედ გუშინდელი „მესხეთი“ — „ამერი“ გამოდგა. გორში ცხინვალის „სპარტაკთან“ წაგებებით თასის ორგზის მფლობელმაც და უმაღლესი ლიგის დებიუტანტმაც მეორე მეოთხედფინალისტის გარკვევა საამმატჩოდ მოიტოვა.

გუშინდელ მატჩში მასპინძლებს მხოლოდ მოგება აძლევდათ ხელს და ამ შემთხვევაშიც მათი შანსი მაინც მცირე იყო. თუ ჯგუფის სამივე ლიდერი თანაბარ ქულებს დააგროვებდა, ყველაზე ცუდი მაჩვენებელი ალბათ სწორედ მესხებს ექნებოდათ, რადგან „ამერთან“ გასვლითი მატჩი 0:4 წაეგოთ, „სპარტაკთან“ ურთიერთმატჩებში თანაბრობას კი ბურთების საერთო სხვაობის უარესობა უბათილებდა.

„ამერს“ გუშინ ფრეც ხელს აძლევდა მეოთხედფინალში გასასვლელად, მაგრამ, ეტყობა, ჯგუფში პირველობას აპირებს და ეს სტუმართა თამაშში თავიდანვე იგრძნობოდა.

წინა დღის დანათოვ და ალაგალაგ გუბურებიან მოედანს სტუმართათვის ბურთის კონტროლსა და მწვავე შეტევების განხორციელებაში ხელი უნდა შეეშალა, მაგრამ საპირისპიროდ კი მოხდა და ისეთი მოხდენილი კომბინაციით გახსნეს ანგარიში, ამ სეზონში ასეთით ბევრით რომ ვერ დაიკვეხნიან.

25-ე წუთზე გიორგი დეკანოსიძემ რევაზ გოცირიძეს ჩაუწოდა, რომელმაც ერთი შეხებით გააყოლა დავით ბოლქვაძეს და მეკარეს მახვილი კუთხიდან პირისპირ შეატოვა, თუმცა მან დარტყმა არ გარისკა, საჯარიმოში შევარდნილ დეკანოსიძეს ოდნავ უკან და შუისკენ დაუგორა და მის დარტყმას ვეღარავინ გადაეღობა.

შესვენებამდე თამაში ისევ „ამერის“ კარნახით მივიდა: რამდენჯერმე შორიდან მოუსინჯეს კბილი მასპინძელთა მეკარეს გოცირიძემ, ბოლქვაძემ, დეკანოსიძემ, მაგრამ გასახდელში ოდენ მინიმალური სხვაობით წავიდნენ.

თამაშის განახლებას „მესხეთი“ გვარიანად სახეცვლილი შეხვდა: მწვრთნელმა კობა თედიაშვილმა აფრიამაშვილს და გელა სუდაძეს ორი თავდამსხმელი შეუნაცვლა — ტექნიკური მამუკა ლონლაძე და მძიმე გრუნტზეც ჩვეულად სახიფათო და სწრაფი ჰაიკ აკოფიანი.

გამთანაბრებელი გოლი სწორედ ლონლაძემ შეაგდო თავით, გვარიანად შორიდან და უცნაური ტრაექტორიით, როცა ფლანგური ჯარიმიდან ჩაწოდებულს პირველი შესწვდა.

გოლის სიხარულმა ქომაგებიც გამოაცოცხლა და მათი გუნდიც. უფრო გააქტიურდა გიორგი თურმანიძეც, მაგრამ „ამერის“ დაცვა და ნახევარდაცვა ისე თამაშობდა, რეალური საგოლე შანსი მეტოქისთვის არ მიუცია, თავად კი მალევე იხეირა კიდევ ერთხელ და თამაშიც ბოლომდე მიიყვანა სასურველ შედეგამდე.

სტუმრებმაც სტანდარტულიდან გაიტანეს: დეკანოსიძის ფლანგურ ჩაწოდებას რევაზ გოცირიძე შესწვდა თავით და გელა ძამუნაშვილს დაბალი დაურტყა, რომელმაც ბურთი კი მოიგერია, მაგრამ ბოლქვაძემ დაასწრო დამატებაზე — 1:2.

ანგარიშში სხვაობა სტუმართა სასარგებლოდ მეტიც იქნებოდა, მასპინძელთა მეკარეს კიდევ ერთი კარგი ამერული კომბინაციისთვის რომ არ შეეშალა ხელი: გოცირიძის დაგდებულ ბურთს დეკანოსიძემ დაჰკრა ძლიერად, მაგრამ ძამუნაშვილმა ნახტომში იყოჩაღა.

და კიდევ, შეცვლაზე შესული კობა შალამბერიძე მსაჯის წამატებულ დროში მეკარესთან პირისპირ გავიდა და გოლიც შეაგდო, მაგრამ... არბიტრ დავით ხარიტონაშვილს წამის წინ უკვე საფინალოდ ჩაესტვინა.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ გუნდები ამ მატჩს უდანაკარგოდ ვერ შეხვდნენ: მასპინძლებს მუხლმტკივანი თავდამსხმელი ალექსანდრე კაიდარაშვილი და დისკვალიფიცირებული მეკარე გიორგი სომხიშვილი აკლდათ. სტუმრებს უფრო მეტი: ტრავმირებული სულიკო დავითაშვილი და დისკვალიფიცირებული სამეული — დიმიტრი ტატანაშვილი, გივი დიდავა, გრიგოლ დოლიძე.

„ამერის“ დანაკლისი თითქოს უფრო შთამბეჭდავი იყო, მაგრამ გიორგი ჩიხრაძეს უკეთესი არჩევანი ჰქონდა — სანაკრებო პაუზისას ძირითადიდან ამოვარდნილი ბოლქვაძე გუშინ ეფექტური გახლდათ.

## დავით ყიფიანის თასის ყაზბეგის გათამაშება
### ჯგუფური ეტაპი. მეხუთე ტური

# ხაჭიპერაძემ იმდენი ირბინა, რომ...

თბილისი. 5 ნოემბერი. 14 საათი. მიხეილ მესხი. 200 მაყურებელი

### ლოკომოტივი 0:1 მალაროელი

0:1 ხაჭიპერაძე (55)

ლოკომოტივი: გვარამაძე, ა. კობიაშვილი, ლ. ჩაგელიშვილი, გ. კვახაძე, ხოხონიშვილი (ტიკურიშვილი 72), ლალაძე (დ. ჩაგელიშვილი 46), დ. ფოფხაძე, ბერიძე, ალავერდაშვილი, ი. სამხარაძე, გ. მიქაძე
სათადარიგონი: მიგინეიშვილი, ბუდაღაშვილი, ბობოხიძე
მწვრთნელი: გიორგი კიკნაძე

მალაროელი: დოლაძე, ო. მგელაძე, გ. ბრეგვაძე, შუკაკიძე, ეგაძე, გამცემლიძე, გ. ილურიძე, ი. ზაბახიძე, ტყებუჩავა, სეფერთელაძე, ხაჭიპერაძე
სათადარიგონი: ბადურაშვილი, მ. სამხარაძე, ჩოგოვაძე, ზ. ტყემალაძე, გაფრინდაშვილი, ჯაჯანიძე, ვ. ტყემალაძე
მწვრთნელი: ბადრი ბრეგვაძე

მსაჯები: გ. დოგრამშვილი, ხ. მაისურაძე, ქ. გაიპარაშვილი, გ. ვადაჭკორია

დამკვირვებელი: შ. ბაქრაძე


ქეთი გაიპარაშვილი, გიორგი დოგრამშვილი და ხათუნა მაისურაძე

ნუკრი ლოლაძე

**მატჩის** წინ მსაჯთა და დამკვირვებელთა განყოფილების თავმჯდომარე ამირან კაჭახიძე მსაჯ გოგონებს — ქეთი გაიპარაშვილსა და ხათუნა მაისურაძეს — ამხნევებდა, აბა, თქვენ იცით, როგორ იმსაჯებთო. კაჭახიძე ამბობდა, ჩემი ოცნება იყო, ჩვენთან ქალებს ემსაჯათ და ეს ამიხდაო. მომავალში რა იქნება, ვერ გეტყვით, მაგრამ სუსტი სქესის ლაინსმენებს გუშინ ერთი შეცდომაც არ დაუშვიათ და, შეიძლება ითქვას, ექსპერიმენტმა გაამართლა.

ამ გუნდების პირველ შეხვედრაში „მალაროელმა“ 3:0 იმარჯვა და თბილისელებსაც რევანში სწყუროდათ, თუმც გუშინათ რომ დიდი ანგარიშით არ წააგეს, დავით გვარამაძეს უნდა უმადლოდნენ.

მე-3 წუთზე ირაკლი სამხარაძემ ჩააწოდა სტუმართა საჯარიმოში. იქ „შალკეს“ ნახევარმცველ ლევან კობიაშვილის ძმამ, არჩილმა მოახერხა კარში დარტყმა, მაგრამ შალვა დოლაძეს აღება არ გასჭირვებია.

ეს იყო და ეს, თბილისელებს დოლაძე მეტად აღარ შეუწუხებიათ.

ჭიათურელებმა მოიპოვეს უპირატესობა და ზაურ ხაჭიპერაძეს რამდენჯერმე შეეძლო „ლოკომოტივის“ დამწუხრება — გიორგი სეფერთელაძის ჩაწოდებულს ხაჭიპერაძემ თავი მიაყოლა, თუმც ბურთი ოდნავ ასცდა დედაქალაქელთა კარს; ისევ ხაჭიპერაძე ურტყამს და ისევ არაზუსტად; 36-ე წუთზე სეფერთელაძის გადაცემის შემდეგ კიდევ ერთი შანსი ეძლევა ზაურს და ისევ ღალატობს მიზანი; მე-40 წუთი, ისევ ხაჭიპერაძე... ორ თბილისელს გასცდა, მაგრამ მეკარეს ვეღარ ააცილა...

სანამ ტაიმი დასრულდა, თბილისელ თორნიკე ბერიძეს შეექმნა ხელსაყრელი სიტუაცია, თუმც უხეიროდ დაარტყა.

შესვენების შემდეგ თამაში იგივე სცენარით გაგრძელდა. სეფერთელაძის ჩაწოდებულს გოჩა ბრეგვაძემ მიაყოლა თავური, მაგრამ არც ამას მოჰყოლია შედეგი.

მერე შეცვლაზე შესულმა დავით ჩაგელიშვილმა სცადა გატანა, მაგრამ ბურთი კარს გადააცილა.

55-ე წუთზე გამოცდილი პაატა გამცემლიძე გაისარჯა კარგად, რამდენიმე თბილისელი ჩამოიტოვა, საჯარიმოში შესულმა კი ხონჩასავით მიართვა პასი მოუსვენარ ხაჭიპერაძეს და მანაც, როგორც იქნა, გაიტანა.

უნიათოდ მოთამაშე „ლოკომოტივი“ ვერც გაშვებულმა გოლმა გააბრაზა, ისევ ბადრი ბრეგვაძის შეგირდები ფლობდნენ უპირატესობას.

მატჩის მიწურულს კი გატანის კიდევ ორი შანსი გაანიავა ხაჭიპერაძემ — ჯერ გიორგი შუკაკიძემ შეატოვა გვარამაძეს, ბურთი თავზე კი გადაავლო მეკარეს, მაგრამ კარსაც გადააცილა; შემდეგ იმედო ტყებუჩავას მარცხნიდან ჩაწოდებულს კარიდან სამ მეტრში მდგომმა თავით ვერ დაუმიზნა.

ამ გამარჯვებით „მალაროელმა“ კიდევ ერთი დიდი ნაბიჯი გადადგა მეოთხედფინალისკენ. 27 ნოემბერს ჭიათურელები შინ „ვიტ ჯორჯიას“ მიიღებენ და ფრეც აძლევთ ხელს.

# უმოტივაციო ამინდი

სოსო გულუა ზუგდიდიდან

ზუგდიდი. 5 ნოემბერი. 14 საათი. გ. თუთბერიძე. 500 მაყურებელი

### მგლები 2:0 ზესტაფონი

1:0 მაჭავარიანი (6), 2:0 ჭედია (77)

მგლები: ჭითანავა, ჯოჯუა, მაჭავარიანი, ვართაგავა (ხუხია 86), კაკაბაძე, ქირია, კუტალია, გაბედავა, ხუბუა (ნურნუმია 46), კრასოვსკი, ჭედია (ქვადუ 86)
სათადარიგონი: ტაბატაძე, ბაკარანძე, ლიპარტია, ქომეთიანი
მწვრთნელი: ბესიკ შეროზია

ზესტაფონი: რ. კვასხვაძე, ხუმარაშვილი, ბერუაშვილი, ქორიძე, შარანგია, გ. ხიდეშელი (ფიფია 52), დაუშვილი, ბენაშვილი, ბიტოო (გ. ნუგ. ჭელიძე 73), გ. ჩხეტიანი, გორგიაშვილი
სათადარიგონი: ჭანტურია, ლობჟანიძე, შ. ლონლაძე, კ. ჩხეტიანი, იონანიძე
მწვრთნელი: თემურ მახარაძე

გაფრთხილება: ხიდეშელი (26), კუტალია (47)

მსაჯები: ო. ხევაძე, გ. ჩიგოგიძე, ბ. მჟავანაძე, ჯ. ბუიშვილი

**ზუგდიდმა** ცუდი ამინდი და თითქმის ცარიელი ტრიბუნები დაახვედრა „ზესტაფონს“. მაყურებლის სიმცირეზე კი უამინდობაზე მეტად იმან იმოქმედა, რომ „მგლებისთვის“ ეს შეხვედრა აბსოლუტურად უმოტივაციო იყო.

მატჩის დაწყებამდე ზუგდიდელთა მწვრთნელმა ბესიკ შეროზიამ თქვა, მართალია, თასისთვის ბრძოლას გამოვეთიშეთ, მაგრამ დღეს თამაში მაინც უშელავათო იქნებაო.

მართლაც, „მგლებმა“ მთლიანად გაამართლეს დამრიგებლის ნათქვამი. თავიდანვე უმწვავესი შეტევები განავითარეს, რასაც მე-6 წუთზე ნოდარ მაჭავარიანის გოლი მოჰყვა.

„ზესტაფონი“ თითქოს დაიბნა, რამდენიმე წუთის განმავლობაში მცველები საკუთარი საჯარიმოდან ბურთის გამოტანას ვერ ახერხებდნენ. შემდეგ კი ძალები მოიკრიბეს და თამაში თანდათან გათანაბრდა.

მიუხედავად იმისა, რომ ამ შეხვედრას არც ერთი გუნდისთვის არ ჰქონია გადამწყვეტი მნიშვნელობა, ფეხბურთელები თავდაუზოგავად იბრძოდნენ.

პირველ ნახევარში ანგარიში არ შეცვლილა. მეორე ნახევრის დასაწყისიდანვე კი წვიმამ იმატა, რასაც შეცდომების ოდენობის ზრდა მოჰყვა.

„მგლები“ უფრო მიზანმიმართულად უტევდა და 77-ე წუთზე მიაღწია კიდეც წარმატებას. შეცვლაზე შესული წურწუმიას ჩაწოდებულს კარგად შეურჩია ადგილი გიორგი ჭედიამ და თავური დარტყმით ლამაზი გოლი გაიტანა „ზესტაფონის“ კარში — 2:0.

ზუგდიდელები ამის შემდეგაც ბევრს უტევდნენ, მაგრამ ანგარიშში ცვლილება აღარ მომხდარა — „ზესტაფონი“ ჯგუფიდან გავიდა...

# რა მოხდება მაშინ...

*ეროვნული ჩემპიონატისა და დავით ყიფიანის სახელობის თასის გათამაშების რეგლამენტიდან:*

*4.4. თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში ადგილები გაირკვევა შემდეგი პრიორიტეტული პრინციპით:*

*4.4.1. მოგებათა მეტი რაოდენობა;*

*4.4.2. უშუალოდ ერთმანეთში შეხვედრების შედეგები (ქულათა რაოდენობა, შემდეგ ბურთების უკეთესი სხვაობა);*

*4.4.3. გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობა;*

*4.4.4. გატანილი გოლების მეტი რაოდენობა;*

*4.4.5. სტუმრად გატანილი გოლების მეტი რაოდენობა;*

*4.4.6. ფეარ პლეის შედეგები (ნაკლები ყვითელ-წითელი ბარათები);*

*4.4.7. კენჭისყრა*

საქართველოს თასის ჯგუფური ეტაპის დასრულებამდე ერთი ტური ღა დარჩა. ამ დროს გათვლების კეთება, რომელ გუნდს იმ ბოლო ტურში რა შედეგი უნდა, ჩვეულებრივი ამბავია. ხოლო გათვლების კეთებისას მუდამ ჩნდება კითხვა: რა ხდება თანაბარქულიანობის შემთხვევაში?

რა ხდება ამ დროს, პროფესიული ფეხბურთის ლიგის მიერ მიღებული გათამაშების რეგლამენტში შეგვიძლია ამოვიკითხოთ, რომლის ჩვენთვის საინტერესო პუნქტებს აქ გთავაზობთ, ქვემოთ კი კონკრეტული ვარიანტები განვიხილოთ...

**A ჯგუფი**

აქ მეოთხედფინალში გასული ორივე გუნდის ვინაობა უკვე გარკვეულია, თუმცა საბოლოოდ ვინ იქნება პირველზე და ვინ მეორე ადგილზე, ბოლო ტურში უნდა გაირკვეს. ეს მნიშვნელოვანია, რადგან მეოთხედფინალის წილისყრისას, ჯგუფებში პირველ ადგილებზე გასული გუნდები ერთმანეთს ვერ დაეჯახებიან. ანუ, პირველადგილოსანს, დიდი შანსია, შედარებით სუსტი მეტოქე შეხვდეს.

ბოლო ტურში კი „ამერი“ გლდანში „სპარტაკს“ უმასპინძლებს და თუ მატჩი ფრედ დასრულდა, პირველ ადგილს ცხინვალელები დაიკავებენ, რაკი ამათი პირველი წრის მატჩი „სპარტაკმა“ მოიგო.

**B ჯგუფი**

თუკი ბოლო ტურში „დინამომაც“ მოიგო და „მალაროელმაც“ ან ორივემ ფრე ითამაშა, პირველ ადგილს დინამოელები დაიკავებენ, რომლებიც ჭიათურელებს ურთიერთშეხვედრებში ჯობნიან. შესაბამისად, თუ ორივე დამარცხდა, „დინამო“ ჯგუფიდან მეორე ადგილით გავა, „მალაროელი“ კი ჯგუფში ჩარჩება.

ერთი ვარიანტიც: „მალაროელი“ — „ვიტ ჯორჯია“ ფრედ დასრულდა, „დინამომ“ კი წააგო. ამ შემთხვევაში დებულების 4.4.3. პუნქტი ამოქმედდება და „დინამო“ ჯგუფში რჩება.

**C ჯგუფი**

„ბორჯომი“ უკვე მეოთხედფინალშია, რაკი მისი გადასწრება თეორიულად ორ გუნდს კი შეუძლია („ოლიმპს“ და „ბათუმს“), მაგრამ რუსთაველები და ბათუმელები ბოლო ტურში ერთმანეთს ხვდებიან, ანუ ორივე ერთდროულად ცხრა და მეტ ქულას ვერ დააგროვებს.

ეს ყველაზე რთული ჯგუფია, რადგან, შესაძლოა, სამმა გუნდმა 8-8 ქულა დააგროვოს („ბათუმი“ უგებს „ბორჯომს“ და ფრედ თამაშობს „ოლიმპთან“, „მერანი“ კი „ბორჯომს“ ამარცხებს). ამ შემთხვევაში, სამივე გუნდს მოგებათა თანაბარი რაოდენობა უგროვდება, ურთიერთშეხვედრებში დაგროვილი ქულებიც ერთნაირი ექნებათ, ხოლო ურთიერთშეხვედრებში ბურთების უკეთესი სხვაობა „მერანს“ აღმოაჩნდება.

ერთი ვარიანტიც: „მერანმა“ „ბორჯომს“ ვერ მოუგო, „ბათუმმა“ „ბორჯომი“ დაამარცხა, „ოლიმპთან“ კი ფრე ითამაშა. ამ შემთხვევაში, მეორე ადგილით „ოლიმპი“ გადის.

ასეთი ვარიანტიც: „ბათუმმა“ „ბორჯომთან“ წააგო, სამაგიეროდ, „ოლიმპი“ დაამარცხა. ამ შემთხვევაში ზღვისპირელებს რუსთავში 1:0-ის გარდა ნებისმიერი სხვა ანგარიშით მოგება სჭირდებათ.

**D ჯგუფი**

„მგლებს“ ბოლო ტურში „ზესტაფონის“ დაწევა კი შეუძლია, მაგრამ ვერ გადაუსწრებს, რაკი ურთიერთშეხვედრებში ზესტაფონელებს ბურთების უკეთესი შეფარდება აქვთ.

**A ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამერი | 5 | 4 | 0 | 1 | 16:4 | 12 |
| სპარტაკი | 5 | 4 | 0 | 1 | 9:2 | 12 |
| მესხეთი | 5 | 2 | 0 | 3 | 6:7 | 6 |
| ტორპედო | 5 | 0 | 0 | 5 | 1:19 | 0 |

ამერი — სპარტაკი
ტორპედო — მესხეთი

**B ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 5 | 3 | 1 | 1 | 9:6 | 10 |
| მალაროელი | 5 | 3 | 1 | 1 | 5:2 | 10 |
| ვიტ ჯორჯია | 5 | 3 | 0 | 2 | 12:6 | 9 |
| ლოკომოტივი | 5 | 0 | 0 | 5 | 1:13 | 0 |

მალაროელი — ვიტ ჯორჯია
დინამო — ლოკომოტივი

**C ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბორჯომი | 4 | 3 | 0 | 1 | 6:4 | 9 |
| ოლიმპი | 5 | 2 | 1 | 2 | 5:5 | 7 |
| მერანი | 5 | 1 | 2 | 2 | 2:2 | 5 |
| ბათუმი | 4 | 1 | 1 | 2 | 1:3 | 4 |

ბათუმი — ბორჯომი
მერანი — ბორჯომი
ოლიმპი — ბათუმი

**D ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დილა | 5 | 3 | 2 | 0 | 10:3 | 11 |
| ზესტაფონი | 5 | 3 | 1 | 1 | 13:6 | 10 |
| მგლები | 5 | 2 | 1 | 2 | 9:9 | 7 |
| კახეთი | 5 | 0 | 0 | 5 | 2:16 | 0 |

ზესტაფონი — დილა
კახეთი — მგლები

# ამხანაგური მატჩი


რუსთა მეკარემ პენალტს თვალიღა გააყოლა

# ისევ ჩვენ

## საქართველომ კარგად დაიწყო

**საქართველო U16 2:1 რუსეთი U16**

1:0 ანანიძე (22), 1:1 ნუროვი (31), 2:1 შეყილაძე (58პ)
საქართველო: ნადირაძე, ამაშუკელი, მირცხულავა, ფუტკარაძე, ქვარცხავა, ჩელებაძე (ქვარაია 56), მამულაძე (ხარლამოვი 60), ძალამიძე (ვაშაკიძე 76), ანანიძე, ჯიშკარიანი (გაბაშვილი 41), შეყილაძე (გულუა 80)
სათადარიგონი: მაქაცარია; მეტრეველი
მწვრთნელი: ჰერბერტ ცანკერი
რუსეთი: პლოხიხი, ერემეევი, ჭეჟია, რაბოვი, ნიკიტინი, კირეევი (შალაევი 61), ემელიანოვი, ნიკიტინსკი (სინელობოვი 74), ნუროვი, ივანიკოვი, ობუხოვი (ხოგარევი 41)
სათადარიგონი: ლიამინი; ევსეევი, ბორტნიკი, მახმუდოვი
მწვრთნელი: იური სმოლიანინოვი
გაფრთხილება: ერემეევი (19), მირცხლავა (80)
მსაჯები: ლ. კვარაცხელია; ო. მოლოდინაშვილი, ლ. გაბოკია; ლ. სილაგავა


ირაკლი შეყილაძე (№10) გოლით გამოირჩა

**რუსები** საპასუხო ვიზიტით ესტუმრნენ საქართველოს. ზაფხულში ჩვენები იყვნენ მოსკოვში და იქაურ თექვსმეტწლამდელებს ორჯერ გაეჯიბრნენ. მაშინაც, გუშინდელი მატჩის მსგავსად, პირველი შეხვედრა ქართველებმა 2:1 მოიგეს. მეორე კი რუსთა გამარჯვებით დამთავრდა — 3:2.

რა იქნება ხვალ, ამას თბილისური ტურნეს მეორე მატჩში გუნდები „მერანის" სტადიონზე გაარკვევენ, მანამდე კი გუშინდელ თამაშზე ვთქვათ...

16-წლამდელთა ნაკრები იმ 17-წლამდელების საბაზო გუნდი უნდა გახდეს, რომელიც ევრო 2009-ის შესარჩევ ეტაპზე ითამაშებს. ამიტომაც ორივე გუნდის მწვრთნელი შემადგენლობაში ერთი წლით უმცროს რეზერვს უფრო ამოწმებდა, თუმც საქართველო — რუსეთის ჯახში წაგება, ცხადია, არც ერთ მათგანს არ სურდა.

ჰერბერტ ცანკერმა უფრო შემტევი ტაქტიკა ირჩია და მეტოქეს საწყის წუთებში მაღალი ტემპი შესთავაზა, თუმც რუსთა კართან სერიოზულ ხიფათამდე საქმე არ მისულა. ფეხბურთელებს საჯარიმოდან საჯარიმომდე უხდებოდათ ჯარასავით ტრიალი.

მოედნის ცენტრში ძალამიძე-ანანიძის დუეტმა აშკარად დაჩაგრა თავიანთი ტანმაღალი ოპონენტები, მაგრამ ბოლომდე საქმე ვერ მიდიოდა და მაყურებელი ამაოდ ელოდა გოლს.

ამ ლოდინმა 22 წუთს გასტანა, თუმცა ქართველებს ანგარიშის გახსნაში რუსთა მეკარეც გვარიანად დაეხმარა — ირაკლი შეყილაძემ ნაკუთხურალს თავი არცთუ ძლიერად დაარტყა, სტანისლავ ალოხიხმა იქვე მოიგერია და ჯანიკო ანანიძეს გატანის მეტი არაფერი დარჩენოდა — 1:0.

ამ გოლის შემდეგ ქართველები მოდუნდნენ, ცოტა მოეშვნენ და დაისაჯნენ კიდეც.

31-ე წუთზე რუსებმა საჯარიმოს მისადგომებთან მაღალი ბურთი ჩაკიდეს, მცველებმა ერთდროულად ამოსვლა ვერ მოასწრეს, ჩრდილოელებმაც იოლად გაითამაშეს ბურთი და გიორგი ნუჩოვი მეკარესთან პირისპირ დარჩა — 1:1.

როგორც ნახეთ, სახიფათო მომენტები ორივე გუნდმა ას-ასი პროცენტით გამოიყენა პირველ ტაიმში.

მომენტების სიმრავლით ვერც მეორე ტაიმში დაიკვეხნიდნენ ფეხბურთელები. პირველის დარად, აქაც ორი კარგი მომენტი შეექმნათ ქართველებს, რომლისგანაც ერთი გამოიყენეს და მოიგეს კიდეც.

56-წუთზე სწრაფი და ლამაზი კომბინაციის შემდეგ ანანიძის პასს შეყილაძემ ეფექტური თავურით მიაყოლა — ყველას რომ ეგონა, გოლი გავიდაო, ბურთი მცირედით ასცდა კარს და ბადე მხოლოდ გარედან შეარხია.

ორ წუთში კი ანანიძე დიდი სიჩქარით შეიჭრა საჯარიმოში და მცველებთან ორთაბრძოლისას წაიქცა... ლევან კვარაცხელიამ უყოყმანოდ კი გაიშვირა ხელი პენალტის ნიშნულისკენ, მაგრამ რუსთა მწვრთნელი აღშფოთდა...

თერთმეტი მეტრიდან შეყილაძემ ზუსტად დაარტყა და ორმატჩიან დუელში ქართველებს პირველი გამარჯვება მოუტანა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ეს თქვენი გამარჯვებაა

**ნამატჩევს ორივე გუნდის მთავარ მწვრთნელს გავესაუბრეთ და თამაშის შეფასება ვთხოვეთ...**


ჰერბერტ ცანკერი

— თანაბარი თამაში იყო, მცირე უპირატესობა ქართველებს ჰქონდათ, განსაკუთრებით ტექნიკური თვალსაზრისით. ჩვენი თამაში არ გვიჩვენებია და ამას მეორე შეხვედრაში შევეცდებით. ისე, ქართველებს კარგი გუნდი გყავთ — გვითხრა რუსთა თავკაცმა *იური სმოლიანინოვმა.*

— მეორე მატჩისთვის შემადგენლობაში გარკვეულ კორექტივებს შეიტანთ?

— ჩვენ 17-18 ფეხბურთელი არ გვყავს. ძირითადი ბირთვი 10-12 კაცია. ამიტომ განსაკუთრებული ცვლილებები არ იქნება.

— გეტყობათ, რომ მსაჯობით მაინცდამაინც კმაყოფილი არ უნდა იყოთ...

— საერთოდ, მსაჯობის გარჩევა ჩემი საქმე არ არის, მაგრამ როდესაც მოედანზე ბავშვები არიან, ცირკი არ უნდა მოაწყო.

*თავის მხრივ, ჰერბერტ ცანკერიც უკმაყოფილო იყო მსაჯობით...*

— პირველი ტაიმის 20 წუთი კარგად ჩავატარეთ, ტემპიც მაღალი იყო. ამ დროს მეტოქე უხეშობას არ ერიდებოდა. ერთ მომენტში მსაჯი ვალდებული იყო, მეტოქის ერთი ფეხბურთელი მოედნიდან გაეძევებინა. როდესაც გოლი გაგვიტანეს, მოედანზე ხუთი წუთით უმცირესობაში იმიტომ ვიყავით, რომ მათმა ფეხბურთელმა ჩვენსას სახეში იდაყვი ჩაარტყა. სწორედ ამ დროს მოიშალა სქემა და გოლიც მივიღეთ. ერთი მხრივ, ეს კარგია იმით, რომ უნდა ვიცოდეთ, სად გვაქვს სუსტი წერტილები. საერთაშორისო ტურნირებზე მეტოქე ყველა წვრილმანს გაითვალისწინებს და გაგვიჭირდება...

...შესვენებაზე ბიჭებს ვუთხარი, ბურთი დაგვეჭირა და ჩვენი თამაში გვეთამაშა. ფეხბურთელებმა დავალება კი შეასრულეს, მაგრამ მაინც გამოჩნდა, რომ გამძლეობაში მეტი გვაქვს სამუშაო, განსაკუთრებით ორთაბრძოლებისას ჩანდა ეს ნაკლი. მეორე მატჩს სხვა ტაქტიკით ვითამაშებთ და არ არის გამორიცხული, შემადგენლობა გადავახალისო, მით უფრო, რომ რამდენიმე ფეხბურთელმა ტრავმა მიიღო და ჯერ არ ვიცით, შეძლებენ თუ არა თამაშს. ამის მიუხედავად, მაინც გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ...

...მოხარული ვარ კლუბებთან და მწვრთნელებთან ნაყოფიერი მუშაობით. ეს ჩემი პირადი გამარჯვება არ არის, ეს საქართველოს გამარჯვებაა და ამაში სწორედ ისინი და ფედერაცია დამეხმარნენ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ნუკრი რევიშვილს საავადმყოფოდან დღეს გამოწერენ

**ნუკრი რევიშვილს** დღეს გამოწერენ ყაზანის საავადმყოფოდან. როგორც თვითონ ნუკრიმ გვითხრა, 10 დღე სახლში ექნება წოლითი რეჟიმი და ერთი კვირა სისხლის გადასხმებს გააგრძელებს.

საბედნიეროდ, მის ჯანმრთელობას არანაირი გართულება აღარ ჰქონია.

ნუკრის საქართველოში უნდოდა წამოსვლა, მაგრამ ამას ორი კვირის შემდეგ მოახერხებს, მანამდე მისთვის ფრენა არ შეიძლება.

შეგახსენებთ: საქართველოს ნაკრებისა და „რუბინის" 20 წლის მეკარე 29 ოქტომბერს ყაზანში ავარიაში მოჰყვა და მართლაც ბეწვზე გადარჩა.

**ილია ნანობაშვილი**

# დავით მუჯირი: არანორმალური ვარ, ვითამაშე და გავიტანე

**დავით მუჯირმა** თქვა, ნორმალური ადამიანი ჩემს ადგილას მოსკოვის „ლოკომოტივთან" არ ითამაშებდაო.

„მთელი კვირა არ მივარჯიშია. ყველაფერს ტკივილით ვაკეთებდი. ცსკა-სთან მატჩის შემდეგ ფეხი საშინელ დღეში მქონდა. ვფიქრობ, ოთხი-ხუთი დღე საერთოდ ვერ გავივლი, მაგრამ გული არ მწყდება, რადგან მოვიგეთ".

„ლოკომოტივთან" დავით მუჯირის „კრილიამ" იმარჯვა და რუსულ პრემიერლიგაში ადგილი შეინარჩუნა. მუმუმ კი გადამწყვეტი გოლი შეაგდო 78-ე წუთზე.

სამარელთა ქართველმა კაპიტანლიდერმა აღიარა, რომ კლუბის ხელმძღვანელობამ ორმაგი პრემიები დაუწესა დარჩენილ გადამწყვეტ მატჩებში მოგების შემთხვევაში.

„კონკრეტულ ციფრებს ვერ დავასახელებ, მაგრამ „ლოკომოტივთან" მოგებაში ფული დიდ როლს არ თამაშობდა. როგორც ვიცი, „ლოკოსაც" საკმაო პრემიებს უხდიან, ასე რომ, მოტივაცია მათაც არანაკლები ჰქონდათ".

**ილია ნანობაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# შეზბარი წამალი: დაბრალე მსაჯს!



**ინგლისის** ფეხბურთის ასოციაციას საქმე გამოუჩნდა: საქმე აქვს გასარჩევი. შაბათს, ლონდონში, „არსენალისა“ და „მანჩესტერ იუნაიტედის“ მატჩის შემდეგ მანჩესტერელთა მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა MUTV-სთან ინტერვიუში თქვა:

„ამ შეხვედრის მსაჯ ჰოვარდ ვებს დიდი შანსი ჰქონდა, საუკეთესო არბიტრთა შორის მოხვედრილიყო, მაგრამ მას დიდი მატჩის განსჯა მოუხდა და ამ მატჩში „არსენალის“ მხარე დაიჭირა. ჩვენს კარში მეორე გოლი აშკარად მისი ბრალი იყო, ვინაიდან მანამდე მეტოქე ლუი საას წინააღმდეგ დაჯარიმდა, მან კი არ დაუსტვინა“.

თუმცა ამ ნათქვამის შემდეგ ფერგიუსონმა მსაჯისთვის პირის მოსაწმენდად დაამატა, რომ ასეთ ხმაურში ობიექტური მსაჯობა ურთულესი საქმეა.

„აქ თავის გართმევა უძნელესი ამოცანა იყო — ბრძანა სერ ალექსმა — ჩვენ, „მანჩესტერ იუნაიტედის“ სათადარიგოთა სკამზე მსხდომთ, რამდენიმე მეტრით უკნიდან საშინელ შეურაცხყოფას გვაყენებდნენ. ამ სტადიონზე უსაფრთხოების ნორმები დაცული არ არის. ძალიან ძნელია, იჯდე და ამ ხნის განმავლობაში ასეთი შეურაცხყოფა ისმინო და ითმინო“.

ამ საკითხზე კომენტარი ყოფილ მსაჯს დერმონტ გალაჰერს სთხოვეს.

მან უპასუხა: „ჩემი აზრით, ფერგიუსონის ზოგი კომენტარი იმითაა განპირობებული, რომ ის თამაშის შედეგით დარჩა იმედგაცრუებული. წარმოიდგინეთ, მისი გუნდი ორჯერ იგებდა და ორივეჯერ მეტოქემ გაუთანაბრა“.

**ბაკუნა ქედია**

# არა მე და არა მეო

**სესკ ფაბრეგასი** ამბობს, რომ შაბათს, „მანჩესტერ იუნაიტედთან“ შეხვედრაში „არსენალმა“ დაამტკიცა, რომ შეუძლია მისთვის ჩვეული ლამაზი ფეხბურთით მიაღწიოს დიდ შედეგს — მოგეხსენებათ, არსენ ვენგერის ბიჭებმა ალექს ფერგიუსონის ბიჭებს ანგარიში ორჯერ გაუთანაბრეს, შეხვედრა 2:2 დასრულდა და შედეგად, „მეთოფეთა“ გუნდი აგერ უკვე მეორე ტურია, პრემიერლიგის ცხრილის სათავეშია.

ფაბრეგასი: „ჩვენ არასოდეს ვნებდებით და ფიზიკურადაც მეტად ძლიერები ვართ. მგონი, ყველამ დაინახა, რომ ჩვენ ვართ გუნდი, რომელიც ბოლო წამამდე იბრძვის. მაშინაც კი, როდესაც მეტოქეს გოლი გააქვს და წინ გადის, ჩვენ ჩვენს მაღალი ხარისხის ფეხბურთს ვთამაშობთ. ჩვენ ვუტევთ და მოწინააღმდეგის კართან მომენტებს ვქმნით. ჩვენ შეხვედრის ბოლო წამამდე შეგვიძლია სირბილი. ვფიქრობ, ბოლო წუთამდე ბრძოლაში ბევრი ვერ აგვყვება. საერთოდ, ჩვენს წინააღმდეგ ყოველთვის მთელი ძალით თამაშობენ, მაგრამ მუდმივად იგრძნობა, რომ თამაშის მსვლელობისას აუცილებლად დადგება მომენტი, როდესაც მოწინააღმდეგე ველარ გაძლებს და გოლს შევაგდებთ“.

და როგორც ირკვევა, სწორედ ეს თვისებები აკლდა „არსენალს“ ჩაგდებული გასული სეზონის განმავლობაში, წლეულს კი სხვა სურათია: რვა დღის წინაც „ენფილდზე“ „ლივერპულთან“ შეხვედრაში ლონდონელებმა მსაჯის წამატებულ წუთში გაათანაბრეს ანგარიში, ანუ მაშინაც ბოლო წამამდე იბრძოლეს.

ისევ ფაბრეგასი: „ჩვენ უნდა ვირწმუნოთ, რომ ამ სეზონში ჩემპიონობა შეგვიძლია. ამ რწმენის გარეშე ჩემპიონობა გამორიცხულია“.

„მანჩესტერ იუნაიტედის“ 26 წლის ნახევარმცველმა ოუენ ჰარგრივსმა კი პირიქით, „არსენალი“ გაკენწლა. ამ შეხვედრაში სწორედ „იუნაიტედმა“ დაამტკიცა, რომ ინგლისში მისი ბადალი არავინააო...

„მოწინააღმდეგე ბურთს ფლობდა, მაგრამ ამით ვერ დაგვაშინა. ბოლოს და ბოლოს, ფეხბურთი ის თამაშია, სადაც გოლების გატანა და თამაშების მოგებაა მთავარი. არ ვეთანხმები იმ აზრს, თითქოს „არსენალმა“ პირველ ტაიმში ჩვენს კართან ბევრი მომენტი შექმნა. ჩვენ მათი, ეგრეთწოდებული ლამაზი ფეხბურთი კარგად ვაკონტროლეთ და ორივე გოლი მწყობრი კომბინაციის შედეგად გავიტანეთ, მათი გოლები კი შემთხვევითი უფრო იყო. თან, ჩვენ ცოტა არ გაგვიმართლა კიდეც, განსაკუთრებით მათი მეორე გოლის დროს“.

მანჩესტერელთა მეორე გოლი კი გუნდის ფრანგმა ფორვარდმა ლუი საამ შექმნა. მან პატრის ევრას საუცხოო პასი მიაწოდა, ევრამ კი შემდეგ კრიშტიანუ რონალდუს გაატანინა.

„ლუი ბრწყინვალედ ჩაერთო თამაშში — გაუზიარა ჟურნალისტებს ალექს ფერგიუსონმა თავისი შეხედულება — მან ევრას ჩინებული პასი მიცა, რითაც ევრამ ისარგებლა და რონალდუს გოლი გაატანინა. მე ძალიან ძლიერი სათადარიგოთა სკამი მაქვს და სწორედ ეს გვაძლევს იმედს, რომ მთელ სეზონს უმაღლეს დონეზე გავივლით. ბიჭები, რომლებიც ამ ჯერზე თამაშობდნენ, საუცხოონი იყვნენ, მაგრამ ისიც ვიცით, რომ საჭიროების შემთხვევაში მათი შეცვლა და რაღაც-რაღაცების გაუმჯობესება შეიძლება“.

**ბაკუნა ქედია**



სესკის გოლი



# რა არის იოლი იოლისთვის

**ინგლისური** „ტოტენჰემ ჰოთსპურის“ ყოფილი მწვრთნელი, ჰოლანდიელი მარტინ იოლი ეჭვობს, რომ „მამლების“ ახალი თავკაცი ხუანდე რამოსი კლუბს დიდ წარმატებებს მოუტანს.

— „ტოტენჰემის უფროსობა ფიქრობს, რომ ხუანდე რამოსთან ერთად გამარჯვებაც იყიდეს, მაგრამ ფეხბურთი ხომ მხოლოდ ვაჭრობა და გარიგება არ არის. ხუანდეს „სევილიაში“ საქმე კარგად ჰქონდა აწყობილი, თუმცა ვინ დადგება თავდებად, რომ ინგლისურ გუნდშიც იგივე მოხდება?!“ — განაცხადა მარტინ იოლმა „სანდი თაიმსთან“ საუბრისას.

ჰოლანდიელი ესპანელი ხუანდეს ინგლისურ წარმატებას პესიმისტურად უყურებს, თუმცა „ტოტენჰემში“ დაბრუნებაზე ოპტიმისტურად ფიქრობს.

„იცით, ოტმარ ჰიცფელდი მახსენდება, ვინც ორწელიწადნახევარი იყო „ბაიერნის“ გარეშე დარჩენილი და შემდეგ ისევ დაბრუნდა „ალიანს არენაზე“. ჩემს შემთხვევაშიც შეიძლება, იგივე მოხდეს“ — ამბობს მარტინ იოლი.

მწვრთნელის აზრით, რამდენიმე წელიწადში „მამლების“ თავკაცობა შეიცვლება და მასაც საშუალება მიეცემა, ლონდონელთა დამრიგებლად დაბრუნდეს: „არ ვარ დარწმუნებული, რომ ერთი-ორი წლის შემდეგ „ტოტენჰემს“ ისევ დღევანდელი უფროსობა უთავკაცებს. შეიძლება, კლუბის მმართველებად სულ სხვა ხალხი მოგვევლინოს, რომლებთანაც თანამშრომლობა გაცილებით იოლი იქნება“.

**ლადო ხომერიკი**

## შენ მოიგე, მე ვიკისრებ

**„ჩელსის“** და ინგლისის ნაკრების ნახევარმცველი ჯო კოული თანაგუნდელ ტალ ბენ ჰაიმს შეჰპირდა, რომ თუ ისრაელი ევრო 2008-ის შესარჩევში რუსეთს მოუგებს, კოული ჰაიმის შვებულების ფულს იკისრებს.

17 ნოემბერს ისრაელი რუსეთს მასპინძლობს და ამ მატჩის შედეგზე ინგლისის ბედი ჰკიდია.

„თუ ტალი და ისრაელი რუსებს დაამარცხებენ, ჩემს თანაგუნდელს მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში დასვენების ფულს გადავუხდი“ — თქვა კოულმა „დეილი მეილთან“.

## ჩაქუჩს ადრიანო გაახსენდა

**„ვესტ ჰემი“** „ინტერიდან“ ადრიანოს გადაბირებას ეცდება. ალან კერბიშლის გუნდს ზაფხულშიც სურდა ბრაზილიელის შეძენა, რომელიც „ინტერის“ სათადარიგო ფეხბურთელად იქცა, მაგრამ ტრანსფერი არ შედგა.

„ჩაქუჩებმა“ ოფიციალურად მიმართეს მილანურ კლუბს.

ადრიანოს ფასი დაახლოებით 15 მილიონი გირვანქაა. მისით „ფენერბაჰჩეცაა“ დაინტერესებული.

## მანჩესტერი ველოზას ებღაუჭება

**„მანჩესტერი“** არ ეშვება „სპორტინგის“ ნახევარმცველ მიგელ ველოზას და 12 მილიონი ევროსაც არ დაიშურებს. ლისაბონური კლუბი ფეხბურთელს 30 მილიონად აფარებს და სეზონის ბოლომდე გაყიდვას არ აპირებს, „მანჩესტერს“ კი ველოზას წაყვანა იანვარში უნდა. თვითონ ნახევარმცველსაც გული „მანჩესტერისკენ“ მიუწევს, სადაც მისი ყოფილი თანაგუნდელები, კრიშტიანუ რონალდუ და ნანი თამაშობენ.

## ანელკას გრანტი ელის

**„სანის“** ცნობით, „ჩელსის“ „ბოლტონიდან“ ნიკოლა ანელკას ყიდვა სურს და ფრანგი ფორვარდის ხელში ჩაგდებას იანვარში შეეცდება. ლონდონური კლუბი 15 მილიონ ევროს სთავაზობს „ბოლტონს“ თავდამსხმელში, რომლის თამაშიც აბრაამ გრანტს ძალიან მოსწონს.

ანელკას კონტრაქტში უწერია, რომ იანვარში შეუძლია გუნდიდან წასვლა, თუ ჩემპიონთა ლიგაში მოთამაშე კლუბი მოისურვებს მის შეძენას.

**ვაჟა ხუციშვილი**

ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვას
წარმოგიდგენთ VEGA SLOT

## ჩემპიონთა ლიგა 2007-2008
### ჯგუფური ეტაპი. მეოთხე ტური. დღეს


სტივენ ჯერარდი და იონ არნე რიისე
AFP

# სამყაროს დასასრული

**A ჯგუფი**

**ლივერპული — ბეშიქთაში**
**პორტუ — მარსელი**

**რაფაელ ბენიტესის** აზრით, „ლივერპული" ჯგუფიდან თუ ვერ გავა, ეს არ იქნება სამყაროს დასასრული. ჩემპიონთა ლიგის ფინალისტს სამი ტურის შემდეგ ერთი ქულა აქვს, ბოლო ადგილზეა და დღეს „ბეშიქთაშს" ხვდება, ვისთანაც ორი კვირის წინ სტამბოლში 1:2 წააგო.

„ლივერპულის" მწვრთნელი ტურნირის დაწყებამდე ოთხ ტურში 10-12 ქულას გეგმავდა, მაგრამ უმძიმეს ვითარებაში აღმოჩნდა. ახლა სამივე დარჩენილი შეხვედრის მოგება სჭირდება მერვედფინალში გასასვლელად.

„ჩვენ გვესმის, რომ გამარჯვება მნიშვნელოვანია, რადგან ჯგუფიდან თუ ვერ გავაღწევთ, ფულსაც ვეღარ მივიღებთ, მაგრამ ამით სამყარო არ დასრულდება. რადგან ამ ტურნირში ფული მთავარი არ არის. მართალია, დიდი წნეხის ქვეშ ვართ „ბეშიქთაშთან" მატჩის წინ, თუმც შიშით არ უნდა ვითამაშოთ და ახლა ყველაზე მეტად გვჭირდება საკუთარი ძალების რწმენა. კლუბის ამერიკელი პატრონები ემხრობიან რამდენიმეწლიან გეგმას, რომელიც ამ ზაფხულს დავწერეთ და მათგან სრულ მხარდაჭერას ვგრძნობთ. არ მიკვირს, რომ ასეთ ვითარებაში აღმოვჩნდით და ბოლო ადგილზე ვართ, რადგან ეს ისეთი ტურნირია, რომელშიც შეცდომას არავინ გაპატიებს".

„ლივერპული" შაბათს „ბლექბერნს" სტუმრად ეთამაშა და მიუხედავად იმისა, რომ აურაცხელი მომენტი შექმნა, უგოლოდ დაუზავდა.

„ბეშიქთაში" სტამბოლურ დერბიში „ფენერბაჩეს" 1:0-ს უგებდა ბობოს გოლით, მაგრამ ორი გაუშვა და წააგო.

— „ფენერს" ძალიან მცირე შანსები ჰქონდა. იმდენად მცირე, რომ ვერც კი ვიხსენებ. ჩვენ კი ხუთიექვსიდან ორიც რომ გამოგვეყენებინა, არ წავაგებდით" — თქვა „ბეშიქთაშის" მწვრთნელმა ერტუღრულ საღლამმა, რომლის გუნდიც ჩემპიონატში მეოთხე ადგილზეა.

თურქებს დღეს ვერ დაეხმარებიან მცველი გოკან ზანი, ნახევარმცველი როდრიგო ტელო და ფორვარდი მარსიო ნობრე, ხოლო „ლივერპულს" დანიელ აგერი, ხაბი ალონსო და ფერნანდო ტორესი დააკლდებიან. ჯერმენ პენანტის თამაში კი საეჭვოა.

ჯგუფის ლიდერი „მარსელი" საფრანგეთის ჩემპიონატში ბოლოსწინა ადგილზეა. შაბათს მათ შინ „ლორიანს" ვერ მოუგეს (0:0) და დღეს „პორტუს" ესტუმრებიან, რომელსაც ორი კვირის წინ 1:1 დაუზავდნენ. თუ „პორტუ" აჯობებს, პირველ ადგილზე გადავა და მერვედფინალისკენ ნაბიჯს გადადგამს. პორტუგალიელებმაც „მარსელის" მსგავსად, ჩემპიონატში „ბელენენსეშთან" შინ ფრე (1:1) ითამაშეს. „პორტუ" ცხრა ტურის შემდეგ დაუმარცხებელია და ლიდერობს.

მწვრთნელმა ჟესუალდო ფერეირამ „ბელენენსეშთან" მატჩის შემდეგ თქვა: „პირველ ტაიმში საკუთარ თავს არ ვგავდით, მიუხედავად იმისა, რომ დავწინაურდით, მეორის დასაწყისში კი მალე გაგვითანაბრეს. ამის მერე ბევრი მომენტი გვქონდა და ვერ გამოვიყენეთ, რამაც ორი ქულა დაგვაკარგვინა, თუმც არა მგონია, „მარსელთან" მატჩის წინ ამ ფრეს გუნდზე ცუდად ემოქმედოს".

„პორტუს" მსუბუქად ტრავმირებული ჰყავს ჟოზე ბოსინგვა და ლუჩო გონსალესი. ითამაშებენ თუ არა „მარსელთან", დღეს გადაწყდება.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარსელი | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 7 |
| პორტუ | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 5 |
| ბეშიქთაში | 3 | 1 | 0 | 2 | 2:4 | 3 |
| ლივერპული | 3 | 0 | 1 | 2 | 2:4 | 1 |

# მწვრთნელშეცვლილები

**B ჯგუფი**

**ვალენსია — რუსენბორგი**
**შალკე — ჩელსი**

**ბუნდესლიგის** მაჩანჩალა „კოტბუსთან" პარასკევს დამარცხებული (0:1) „შალკე" დღეს „ჩელსის" უმასპინძლებს, რომელიც აბრაამ გრანტის ხელში კარგად ათამაშდა და ზედიზედ იგებს მატჩებს.

ორი კვირის წინ „ჩელსიმ" ლონდონში 2:0 სძლია „შალკეს" და მაშინ სტუმრებს კევინ კურანი აკლდათ. გერმანიის ნაკრების ფორვარდი გუნდს შეიძლება, დღესაც ვერ დაეხმაროს. იგი „კოტბუსთან" მატჩის 65-ე წუთზე შეცვალეს კუნთის ტკივილის გამო. კურანის გარდა, ტრავმირებულია კრისტიან პანდერიც. 24 წლის მცველს მუხლის მყესები გაუწყდა შუა კვირაში „ჰანოვერთან" სათასო მატჩში.

„შალკეს" ამჟამად დალმასვლა აქვს, რაც „კოტბუსთან" მარცხმაც დაადასტურა და „ხუმარები" ბუნდესლიგაში მეშვიდე ადგილზე ჩაქვეითდნენ.

მირკო სლომკა: „ძალიან მწარე წაგება იყო. ასეთ გუნდებთან გამარჯვება აუცილებელია, ჩვენ კი ქულაც ვერ ავიღეთ. იღბალმაც გვიგანა, მაგრამ ეს მარცხს არ ამართლებს. „კოტბუსს" მოგება „შალკეზე" მეტად უნდოდა და სწორედ ეს მაბრაზებს ყველაზე მეტად".

მიუხედავად ამისა, ჯერალდ ასამოა „ჩელსისთან" რევანშისთვის ემზადება: „ჩვენ გვინდა გოლების გატანა და გამარჯვება. ეს ადვილი არ იქნება, რადგან ლონდონურ მატჩშიც ვნახეთ, რომ „ჩელსი" მეტოქის სულ მცირე შეცდომითაც კი ხეირობს, მაგრამ მე ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. „შალკეს" 50 ათასი ქომაგი დაუჭერს მხარს და მოტივაციის ძებნა არ დაგვჭირდება. „ჩელსი" ალბათ პირველი ადგილით გავა მერვედფინალში, „შალკე", „ვალენსია" და „რუსენბორგი" მეორე ადგილისთვის იბრძოლებენ".

„ჩელსიმ" კი შაბათს სტუმრად „უიგანს" მოუგო ლამპარდის და ბელეტის გოლებით და მესამე ადგილს უწია.

„უკვე რამდენიმე მატჩია, თამაშის ხარისხს ვაუმჯობესებთ, რაც ძალიან მიმედებს. „უიგანთან" მეტის გატანაც შეგვეძლო, მაგრამ მთავარია, რომ მოვიგეთ" — თქვა აბრაამ გრანტმა, რომლის გუნდსაც „შალკესთან" პაულუ ფერეირა ტრავმის გამო დააკლდება.

მწვრთნელშეცვლილმა „რუსენბორგმა" ჩემპიონატში „ალესუნდს" სტუმრად 2:1 მოუგო. ორი კვირის წინ შინ „ვალენსიას" დამარცხების შემდეგ „რუსენბორის" თავკაცი კნუტ ტორუმი გადადგა და მის ნაცვლად ტრონდ ჰენრიკსენი დანიშნეს.

„ალესუნდთან" შეხვედრის შემდეგ ჰენრიკსენმა განაცხადა: „ეს გამარჯვება ძალიან მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიური თვალსაზრისით — „ვალენსიასთან" მძიმე მატჩის წინ".

მწვრთნელი შეუცვალეს „ვალენსიასაც". კიკე სანჩეს ფლორესი ერთი კვირის წინ მოხსნეს და რონალდ კუმანი დანიშნეს, რომელმაც სადებიუტო მატჩში სტუმრად „მალიორკას" 2:0 მოუგო — ფერნანდო მორიენტესმა დუბლი შეასრულა.

„ღამურებმა" ორი კვირის წინ ნორვეგიაში 0:2 წააგეს და დღეს „რუსენბორგს" თუ მოუგებენ, ჯგუფში მეორე ადგილზე გადავლენ.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 |
| რუსენბორგი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| ვალენსია | 3 | 1 | 0 | 2 | 2:4 | 3 |
| შალკე | 3 | 1 | 0 | 2 | 2:3 | 3 |


ფერნანდო მორიენტესი და რონალდ კუმანი
AFP

# ჩემპიონთა ლიგა 2007–2008
## ჯგუფური ეტაპი. მეოთხე ტური. დღეს

ეროვნული ბიბლიოთეკა



გუტი და ჟულიო ბაპტისტა



ვერდერელები უხასიათობას არ უჩივიან

# დაჭრილია, არ მომკვდარა

**C ჯგუფი**

**ლაციო — ვერდერი**

**ოლიმპიაკოსი — რეალი**

**ჩემპიონთა** ლიგაში დაუმარცხებელმა „რეალმა" შაბათს პრიმერადივიზიონში მეორე წაგება იგემა. „სამეფო კლუბმა" სტუმრად „სევილიასთან" სამ წუთში ორი გოლი გაუშვა და მეტოქეს ვერაფრით უპასუხა.

მადრიდელთა მწვრთნელმა ბერნდ შუსტერმა განაცხადა: „ძალიან განსხვავებული ყაიდის გუნდს ვეთამაშეთ, რომელიც საოცრად აგრესიულია და აქ, სევილიაში, მოგება მეტად რთულია".

რუუდ ვან ნისტელროი: „გულდაწყვეტილება ვართ, რადგან ოთხშაბათს „ვალენსიასთან" საუცხოო თამაშით მოვიგეთ, სამი დღის შემდეგ კი სევილიაში იოლად დაგვამარცხეს. შეცდომების გამოსწორება გვმართებს, მთავარი კი სიმშვიდეა. უმნიშვნელოვანესი მატჩი ვგელის „ოლიმპიაკოსთან" და ამ შეხვედრისთვის სათანადოდ უნდა მოვემზადოთ. ისიც უნდა ვთქვათ, რომ „სევილიასთან" მსაჯობა არ ვარგოდა, ძალიან ბევრ ჯარიმას არბიტრმა წაუყრუა. თუ ჩვენ რამოსი გაგვიძევეს, სულ ცოტა, მეტოქის ორი ფეხბურთელიც იმსახურებდა წითელ ბარათს".

დღეს „რეალს" არანაკლებ რთული მატჩი ელის, ვიდრე „სევილიასთან" ჰქონდა, რადგან პირეოსში გიჟმაჟი ბერძენი გულშემატკივრების ყიჟინს უნდა გაუძლოს. „ოლიმპიაკოსი" ჩემპიონატში დაუმარცხებელია და გასულ კვირას შინ პაოკ-ს 2:1 მოუგო ტოროსიდისის და კოვაჩევიჩის გოლებით.

„ძალიან კარგად დავიწყეთ პირველივე წუთებიდან და ისე ჩანდა, რომ მალე უნდა გაგვეტანა, მაგრამ მეორე ტაიმშიღა შევძელით ანგარიშის გახსნა. მეტოქემ ათ წუთში გაგვითანაბრა, თუმც ჩემმა გუნდმა ხასიათი გამოავლინა და იმარჯვა" — თქვა „ოლიმპიაკოსის" მწვრთნელმა.

შეგახსენებთ, რომ ორი კვირის წინ პირეოსელებმა მადრიდში საკმაოდ კარგად ითამაშეს და გვარიანადაც ანერვიულეს „რეალი", მაგრამ 2:4 წააგეს.

მასპინძლებს ცენტრალური მცველი პარაკევას ანცასი დაუშავდათ და ერთთვიანი მკურნალობა გამოუწერეს.

ჯგუფის ბოლოადგილოსანი, ჯერჯერობით მოუგებელი „ლაციო", ბრემენის „ვერდერს" უმასპინძლებს. რომაელებმა ორი კვირის წინ გერმანიაში 1:2 წააგეს.

გუშინწინ „ლაციო" შინ „ფიორენტინასთან" 0:1 დამარცხდა, მაგრამ წაგებულთა მცველმა გილერმო სტენდარდომ განაცხადა: „ლაციო" დაჭრილია, მაგრამ არ მომკვდარა. „ვერდერთან" მატჩი ვგელის და გვსურს, ფანებს დავუმტკიცოთ, რომ კარგად თამაში და მოგება შეგვიძლია".

ხოლო ბრემენელმა „მუსიკოსებმა" შთამბეჭდავად ვერ ითამაშეს „ჰანზასთან", თუმცა უგო ალმეიდას გოლით სძლიეს.

„ვერდერს" „ლაციოსთან" მატჩში ტორსტენ ფრინგსი დააკლდება, რომელიც მუხლის ტრავმის გამო წლეულს ვეღარ ითამაშებს. ბუბაქარ სანოგომ „ჰანზასთან" შეხვედრა გამოტოვა, მაგრამ გამოკეთდა და რომაში გუნდს გაჰყვა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 3 | 2 | 1 | 0 | 8:5 | 7 |
| ოლიმპიაკოსი | 3 | 1 | 1 | 1 | 6:6 | 4 |
| ვერდერი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:6 | 3 |
| ლაციო | 3 | 0 | 2 | 1 | 4:5 | 2 |

# რონალდოს გოლი უნდა

**D ჯგუფი**

**სელტიკი — ბენფიკა**

**შახტარი — მილანი**

**რონალდო** გამოკეთდა და „მილანს" დონეცკში გაჰყვა. 31 წლის ბრაზილიელ მეგოლეს ტრავმის გამო ამ სეზონში არ უთამაშია. ჯერ სექტემბერში ვარაუდობდნენ მის დაბრუნებას, მერე ოქტომბერში და ახლაღა ელირსა გამოჯანმრთელება. „შახტართან" მატჩის განაცხადში იქნება, მაგრამ შეიძლება სათადარიგოთა სკამზე დარჩეს.

„ძალიან მიხარია, რომ კვლავ შევძლებ თამაშს — თქვა რონალდომ — რთული ვითარებიდან არაერთხელ გამოვსულვარ, ვიცი, რა შემიძლია და „მილანისთვის" თავს არ დავზოგავ. სრული დატვირთვით ვვარჯიშობ და გუნდის დასახმარებლად მზად ვარ. ახლა მხოლოდ მოედანზე გასვლა და გოლის გატანა მინდა".

ტრავმა მოიშუშა მასიმო ოდომ, ხოლო დიდამ ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მოიხადა და „შახტართან" ძირითად შემადგენლობაში იქნება, მარეკ იანკულოვსკი კი დაშავებულია.

ორი კვირის წინ „მილანმა" შინ „შახტარს" 4:1 მოუგო და ჯგუფში პირველ ადგილზე გადავიდა. გასულ უქმეებზე კი „შავ-წითლებმა" „სან სიროზე" „ტორინოს" ვერაფერი მოუხერხეს და უგოლოდ დაუზავდნენ. სერია A-ში კარლო ანჩელოტის გუნდს საშინაო მატჩი არ მოუგია, სტუმრად კი უფრო კარგად თამაშობს და ცხრილში მეცხრე ადგილზეა.

„პირველ ტაიმში მომენტები გვქონდა და ვერ გამოვიყენეთ. შესვენების შემდეგ ბრძოლის ჟინმა იკლო, რაც ხშირად გვემართება ამ სეზონში, როცა გატანას ვერ ვახერხებთ. არა მგონია, რომ ცუდად ვითამაშეთ, მაგრამ ეს საკმარისი არ არის" — თქვა ანჩელოტიმ.

დონეცკის „შახტარმა" ჩემპიონატში სტუმრად თანაქალაქელ „მეტალურგს" 1:0 მოუგო. გოლი ფერნანდინიომ 88-ე წუთზე გაიტანა. გამარჯვებულთა მწვრთნელმა მირჩა ლუჩესკუმ განაცხადა: „მიუხედავად იმისა, რომ ილსინიო გაგვიძევეს, გუნდმა გულიანად იბრძოლა და სამი ქულაც მივითვალეთ. ათი კაცით თამაში უკეთ გამოგვივიდა, ვიდრე თერთმეტით. ბიჭები „მილანზე" ფიქრობდნენ და ამიტომაც ცოტა შებოჭილები ჩანდნენ, მაგრამ მოგება დავიმსახურეთ".

ჯგუფის ბოლოადგილოსანი „სელტიკი" ლისაბონის „ბენფიკას" მასპინძლობს, ვისთანაც ორი კვირის წინ 0:1 დამარცხდა. ეს გუნდები შარშანაც ერთად იყვნენ ჯგუფში და გლაზგოში „თეთრ-მწვანეებმა" „ბენფიკას" 3:0 მოუგეს. მწვრთნელმა გორდონ სტრაჩანმა მაშინ თქვა, რომ ეს იყო „სელტიკის" ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი მის ხელში და ახლაც შარშანდელის გამეორებას ელის.

„ხალხი სიამოვნებით იხსენებს იმ მატჩს და ამბობს, რომ საუცხოოდ ვითამაშეთ — განაცხადა სტრაჩანმა — მსურს, რომ გუნდმა იგივე გაიმეოროს. მით უმეტეს, რომ ჩვენ შინ „მანჩესტერიც" დაგვიმარცხებია და „მილანიც". ასე რომ, „ბენფიკას" ძლევაც შეგვიძლია".

„სელტიკს" მსუბუქად ტრავმირებული ჰყავს შუნსუკე ნაკამურა და თამაშს თუ ვერ შეძლებს, მას ეიდენ მაკგიდი შეცვლის, რომელიც ამჟამად კარგ ფორმაშია.

გლაზგოელები შოტლანდიის პრემიერლიგას ლიდერობენ. გასულ შაბათს მათ სტუმრად „კილმარნოკი" დაამარცხეს (2:1) მაკდონალდის დუბლით. „ბენფიკამ" კი ასევე სტუმრად და ასეთივე ანგარიშით „ფერეირას" სძლია. გოლები როდრიგესმა და კაცურანისმა გაიტანეს.

ორი კვირის წინ ლისაბონში „ბენფიკას" „სელტიკთან" ნუნუ გომეში დააკლდა. ახლა ფორვარდი გამოკეთდა და გლაზგოშიც ითამაშებს.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 3 | 2 | 0 | 1 | 7:4 | 6 |
| შახტარი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:4 | 6 |
| ბენფიკა | 3 | 1 | 0 | 2 | 2:3 | 3 |
| სელტიკი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:4 | 3 |



მილანელ კლარენს ზეედორფს დონეცკში გულშემატკივართა არმია დახვდა



ლუიშ ფაბიანომ ფაბიო კანავარო ჩამოიტოვა

# კატალონიელი მსაჯი

## რეალი მტრულ სასტვენს აპროტესტებს

**ესპანურ** პრიმერადივიზიონში სიტუაცია დაიძაბა. ჩემპიონატის ლიდერმა „რეალმა" „სევილიასთან" წააგო, ხოლო სამეფო თეთრების მდევრებმა, „ბარსელონამ" და „ვილიარეალმა" თავიანთი მატჩები მოიგეს და ცხრილში ბერნდ შუსტერის გუნდს ერთი ქულის მანძილზე მიუახლოვდნენ.

ვინძლო მკითხველისთვის ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს, როგორ გამოეხმაურა ლა ლიგის პერიპეტიებს იქაური სპორტული მედია.

„ასმა" თავფურცელი „რეალის" მწვრთნელ ბერნდ შუსტერის კრიტიკულ გამონათქვამებს დაუთმო მსაჯ ალვარეს ისკიერდოს მისამართით. თუმცა მადრიდული გაზეთი მარტო შუსტერით არ შემოიფარგლა, კატალონიელ ისკიერდოზე თავიანთი აზრი „სამეფო გუნდის" ფეხბურთელებმაც გამოთქვეს, რასაც ესპანეთში მორიგი მადრიდულ-ბარსელონური ღელვა მოჰყვა.

„პრიმერადივიზიონში ასე მხოლოდ მადრიდის „რეალს" ეთამაშებიან. უფრო სწორად, ჯერ გვირტყამენ და მერე გვეთამაშებიან. ნახეთ, პოულსენმა გუტისთან რა სიმხეცე ჩაიდინა? სევილიელს ჩვენიანის დასახიჩრებაც შეეძლო, თუმც მსაჯმა რატომღაც ეს ეპიზოდი ვერ დაინახა და პოულსენი არ დაუჯარიმებია. ძალიან კარგი, ვნახოთ, როგორ მოიქცევა „ბერნაბეუზე" — დაიქადნა მავანმა რეალელმა „ასთან" ინტერვიუში.

სამაგიეროდ, ალვარეს ისკიერდომ თამაშიდან მადრიდელი სერხიო რამოსი დაიფრინა. გაბრაზებულმა შუსტერმაც უთხრა ჟურნალისტებს: „მსაჯი კატალონიელია? აჰა, ყველაფერი გასაგები ყოფილა".

მოკლედ, გერმანელმა დაიჩივლა, გუნდი მტრებმა დამიჩაგრესო.

„მარკა" რუუდ ვან ნისტელროის ესაუბრა. ჰოლანდიელმა არბიტრი ისკიერდო გააკრიტიკა და ისიც აღნიშნა, რომ სევილიელი მცველები მადრიდელებს ყასბებივით ეპყრობოდნენ.

„სერხიო რამოსის მეორე ყვითელი ბარათი ფარსი იყო. იმ ეპიზოდში განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, თუ ასე მივყვებით, არბიტრს 4-5 სევილიელი მაინც უნდა გაეძევებინა — მასპინძლებმა ხომ სერხიოსავით „იუხეშეს"... რაც შეეხება შუსტერის მსაჯზე ნათქვამს, მჯერა, რომ მწვრთნელმა არბიტრის წარმოშობა სიფიცხის გამო ახსენა, პირადად ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, მსაჯი სადაურია" — განაცხადა ჰოლანდიელმა ფორვარდმა.

„სანჩეს პისხუანი" ხოსე მარია გუტიერესმაც გაბრაზებულმა დატოვა. სხვათა შორის, ყვითელი ბარათი გუტიმ პროტესტის გამო მიიღო, ალვარეს ისკიერდოსთან პოულსენის დაუნდობელი ვარდნა დაიჩივლა და ამის გამო „მალიორკასთან" მატჩს გამოტოვებს. მედიასთან არბიტრ ისკიერდოს საქციელის შეფასება არ დაზარებია, ძარცვა-ყაჩაღობას უწოდა...

და, რა თქმა უნდა, „ბარსელონას" იოლი მოგება „ბეტისთან". „მარკა" წერს: „ბარსამ" უფერულ „ბეტისს" ადვილად და ყოველგვარი ჯაფის გარეშე მოუგო. ანგარიში ანრიმ გახსნა, ხოლო ანდალუზიელების წვალებას წერტილი ზუსტი საჯარიმო დარტყმით, რონალდინიომ დაუსვა".

კატალონიურმა „სპორტმა" თავფურცელზე EL SHOW DE DINHO, ანუ „დინიოს შოუ" გამოიტანა. რონალდინიოს ბრწყინვალე თამაში „ბეტისთან" არავისთვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა, მით უმეტეს, ბარსელონური გაზეთისთვის, რომელმაც აღნიშნა, რომ „ვარსკვლავი" ფენიქსის მსგავსად, ფერფლიდან აღსდგა.

ეტყობა, რონიმ კრიზისი მართლაც წარსულს ჩააბარა და ახლა მსოფლიოს საფეხბურთო სამყაროს ძველებურად გადარევას აპირებს. ბრაზილიელმა ხუთშაბათს „ვალიადოლიდთან" საკმაოდ კარგად ითამაშა, „ბეტისთან" კი ქომაგებს უკვე ძველი რონალდინიო გაახსენდათ...

**ლადო ხომერიკი**

# ეჩებერია 400



**ხოსება ეჩებერიამ** „უელვას" ორი გოლი გაუტანა, „ბილბაოს" თამაში მოაგებინა და ესპანურ ლა ლიგაში ოთხასმატჩიანი იუბილეც გადაიხადა.

„ძალიან კმაყოფილი ვარ. შესანიშნავი დღე მქონდა, პრიმერადივიზიონში მეოთხასე მატჩი ჩავატარე და გოლის გატანაც შევძელი. მიხარია, რომ გუნდმა კარგად ითამაშა" — განაცხადა ბასკმა მოიერიშემ, რომლის საპრიმერო ანგარიშზეც უკვე ასზე მეტი გოლია.

„ბილბაომ" გასულ ტურში „ხეტაფესთან" ვერაფერი გააწყო და 0:2 დამარცხდა. თუმცა შემდეგ ბასკებმა ძალების მოკრება შეძლეს და „სან მამესზე" „უელვა" გაკრეს ბეჭებზე.

„გუნდური სულისკვეთების განმტკიცება სამი დღის განმავლობაში შევძელით. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, დავამტკიცეთ, რომ „ბილბაო" სიტუაციის გამოსწორებას ყველაზე რთულ სიტუაციაშიც ახერხებს" — თქვა ხოსებამ.

ამჟამად ბასკური ფლაგმანი ცხრილში მეთორმეტე ადგილზეა.

**ლადო ხომერიკი**

# კუმანმა ბაკეროთან წაიყვანა



ხოსე მარი ბაკერო

**„ვალენსიაში"** რონალდ კუმანის თანაშემწე ხოსე მარი ბაკერო იქნება. ეს ორნი ძველი ბარსელონელები არიან, ახლა კი საპრიმერო ომებში „ღამურათა" კლუბს უხელმძღვანელებენ.

ბასკი ბაკერო „მესტალიაზე" ბრუინს სლოტთან ითანამშრომლებს. ეს კაციც კრუიფისდროინდელ „დრიმ თიმს" უკავშირდება — მაშინ მწვრთნელის თანაშემწე იყო.

კუმანს კი ძველი მეგობრების „ვალენსიაში" მოყვანაზე ბევრი ყოყმანი არ დაუწყია. ბაკერო „დრიმ თიმის" კაპიტანი იყო, მერე „მალაგას" და „სოსიედადს" წვრთნიდა და ერთი სიტყვით, ესპანურ ფეხბურთს ხუთი თითივით იცნობს, რითაც რონალდ კუმანს დიდ დახმარებას გაუწევს.

დღეს კუმან-ბაკეროს ვალენსიურ წყვილს საევროტურნირო გამოცდის ჩაბარება უწევს — „ვალენსია" ჩემპიონთა ლიგის მატჩში „რუსენბორგს" მასპინძლობს. იმ „რუსენბორგს", რომელმაც წინა ტურში ტრონჰეიმში 2:0 მოუგო...

**ლადო ხომერიკი**

## შეწუხებული ლუჟნიმ შეცვალა

**კიევის** „დინამოს" მწვრთნელი იოჟეფ საბო გულმა შეაწუხა და მკურნალობა სჭირდება. ამის გამო გუნდს დროებით უთავკაცებს მისი თანაშემწე, 39 წლის ოლეგ ლუჟნი, რომელიც „დინამოს" ხვალ „მანჩესტერთან" „ოლდ ტრაფორდზე" გაიყვანს.

საბომ ანატოლი დემიანენკო მას შემდეგ შეცვალა, რაც 21 სექტემბერს კიეველებმა ჩემპიონთა ლიგაში „რომასთან" წააგეს. „დინამო" ამის მერე „სპორტინგთანაც" დამარცხდა და „მანჩესტერთანაც".

ოლეგ ლუჟნის „ვულვერჰემპტონში" და „არსენალში" უთამაშია. უკრაინის ნაკრების კაპიტანი იყო 39-ჯერ, ხოლო 2005-ში ლატვიურ „ვენტრას" თავკაცობდა, შარშან კი კიევის „დინამოს" სამწვრთნელო შტაბში მივიდა.

## უიგანი დროებით ბარლოუსია

**ზედიზედ** ექვსი წაგების გამო „უიგანის" მწვრთნელი კრის ჰათჩინგსი გუშინ მოხსნეს და მის ადგილს დროებით ფრენკ ბარლოუ დაიკავებს.

„უიგანი" შაბათს შინ „ჩელსისთან" 0:2 დამარცხდა და ცხრილში ბოლოდან მესამე ადგილზეა. გუნდმა 12 ტურში რვა ქულა მოაგროვა ჰათჩინგსის ხელში, რომელმაც ამ ზაფხულს პოლ ჯუელი შეცვალა.

## დუარტეს კარი გაუღეს

**პორტუგალიის** ჩემპიონატის აუტსაიდერ „ლეირიას" თავკაცი პაულუ დუარტე დაითხოვეს. ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან ცხრა ტური მიილია და გუნდს ერთი თამაშიც არ მოუგია. კვირას შინ „ნასიონალთან" 1:3 წააგეს და მწვრთნელსაც კარისკენ მიუთითეს.

„ლეირიას" ყოფილ ფეხბურთელს, 38 წლის დუარტეს, გუნდი მარტში ჩააბარეს და მისი თავკაცობით ინტერტოტოზე იმარჯვეს, მაგრამ უეფას თასის პირველ ეტაპზე „ლევერკუზენთან" დამარცხდნენ.

## ვან ვიიკი გაუშვეს

**„ტილბურგის"** მწვრთნელი დენის ვან ვიიკი თავისი ნებით გადადგა, რადგან მისმა გუნდმა ათ ტურში მხოლოდ ერთი მატჩი მოიგო და ხუთ გოლზე მეტი ვერ გაიტანა.

„ტილბურგი" პარასკევს შინ „ვენლოსთან" 1:2 დამარცხდა და ცხრილში მეთხუთმეტე საფეხურზეა.

**გაჟა ხუციშვილი**

### მექსიკა

აპერტურა. XVI ტური

ამერიკა 1:0 ნეკაქსა
პუებლა 0:3 გვადალახარა
სანტოსი 0:0 ტიგრესი

### არგენტინა

აპერტურა. XV ტური

ლანუსი 2:1 ტიგრე

### ჩილე

კლაუსურა. XVIII ტური

აუდაქს იტალიანო 1:1 მელიპილია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იტალიის დიტალია

**კალჩოპოლის** სკანდალის, „იუვენტუსისთვის“ ორი სკუდეტოს ჩამორთმევის და აქედან ერთის „ინტერისთვის“ გადაცემის, დიდი აურზაურისა და მოლოდინის შემდეგ „დერბი დიტალია“ შედგა.

მატჩი 15 წუთის დაგვიანებით დაიწყო, რადგან „ინტერის“ ავტობუსი საცობში გაიჭედა და შეაგვიანდა. ტურინის „სტადიო ოლიმპიკოზე“ კი „იუვენტუსის“ ფანები „ნეროადურის“ ასეთი შინაარსის ბანერით დახვდნენ: „სიმართლეს მინდორი იტყვის“.

შეხვედრა მშვენიერი სანახავი გამოდგა. „ინტერმა“ უკეთ ითამაშა, მაგრამ „იუვენტუსმა“ ქულა დაუმსახურებლად მოიპოვაო, ძნელი სათქმელია.

მიუხედავად დიდი დაძაბულობისა, უსიამოვნო ეპიზოდები, ფაქტობრივად, არ ყოფილა. ამასთან დაკავშირებით, მატჩის მსვლელობიდან ერთ ეპიზოდს გამოვარჩევთ — მეორე ტაიმი ახალდაწყებული იყო, „ინტერი“ 1:0-ს იგებდა და მსაჯმა მილანელთა მეკარე ჟულიო სეზარს დროის გაყვანისთვის ყვითელი ბარათი უჩვენა. თუმცა „იუვენტუსის“ ფეხბურთელებმა და მწვრთნელმა კლაუდიო რანიერიმ ჟულიო სეზარი დაიცვეს, მასთან ბურთი დიდი ხანი მიგორავდა, თან იმიტომ გაჩერდა, რომ კრისტიან მოლინარო დაშავებული იყოო და მსაჯს ბრაზილიელის გაფრთხილება გადააფიქრებინეს.

ხულიო რიკარდო კრუზს ტყუილად არ უთქვამს, ნოემბერში „იუვენტუსთან“ თამაში კარგად მაქვს დაცდილი და იმედია, მათამაშებენო. ათამაშეს და გაიტანა — 41-ე წუთზე მან სეზარ აპარესიდოს პასით იხეირა. ეს კრუზის კარიერაში მეექვსე გოლი გახლდათ „ბებერი ქალბატონის“ კარში.

მაურო კამორანეზიმ სულ ახლახან მოიშუშა ტრავმა და ცოტა მოულოდნელი იყო, როცა 70-ე წუთზე ალესანდრო დელ პიეროს ნაცვლად გამოჩნდა მოედანზე. თუმცა ბოლო 20 წუთში მშვენივრად გაისარჯა და გაიტანა კიდეც გამთანაბრებელი — მან რაფაელე პალადინოსა და ვინჩენცო იაკინტას აქტიურობის მერე დაარტყა, ბურთი ვალტერ სამუელს შეეხო და თავზე გადაევლო ჟულიო სეზარს.

ერთიც, „ინტერის“ ვეტერანი ნახევარმცველი ლუიშ ფიგუ 35-ე დაბადების დღეს აღნიშნავდა. პორტუგალიელი საკმაოდ აქტიური იყო და რამდენჯერმე ეუხეშნენ, მაგრამ ტრავმას გადაურჩა.

„ახლა „ინტერი“ შემადგენლობით ჩვენზე ძლიერია, ამას თავისი მიზეზები აქვს და არ ვდავობთ. თუმცა ჩემპიონობისთვის მაინც ვიბრძოლებთ. მაურო კამორანეზი დაგვიბრუნდა და თავადაც ხედავთ, რომ როცა იგი მინდორზეა, ჩვენი თამაში ჰარმონიულია, თითქოს მუსიკა ისმის. იგი მხოლოდ ნახევარი ტაიმი მყავდა „კალიარისთან“ და მატჩი მოგვაგებინა. მაურო ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი მოთამაშეა. უბრალოდ, მან ტრავმა ახლახან მოიშუშა და არ მინდოდა, გამერისკა, ძირითადშიც ამიტომ არ დავაყენე. თან მსურდა, დაღლილი ინტერელების წინაალმდეგ ჩამერთო თამაშში. დელ პიერო კი იმიტომ გავიყვანე, რომ როგორც კი იგი ბურთს მიიღებდა, ორი-სამი ფეხბურთელი მივარდებოდა ხოლმე და შეტევაში სისწრაფეს ვკარგავდით. ვინჩენცო იაკინტას ახლა ბრწყინვალე პერიოდი აქვს, მაგრამ მასაც მუხლის ტრავმა აწუხებდა. თუმცა ფორმას ნელ-ნელა იბრუნებს. თავდასხმაში ჯერ ისე კარგად დაბალანსებულნი და ორგანიზებულნი არ ვართ, როგორც ნახევარდაცვასა და დაცვაში. არ დაგვავიწყდეს, რომ პალადინო ამპლუით ფორვარდია, მაგრამ ახლა მისი ნახევარმცველად გამოყენება გვიწევს და მიხარია, რომ ამ ამოცანასაც ჩინებულადართმევს თავს. ხელოვნური თამაშგარის შექმნა კარგად ვიცით, მაგრამ ეს მაინც დასახვეწი გვაქვს, რადგან გაშვებული გოლისას შევცდით. რაც შეეხება მსაჯობას, ბრწყინვალე იყო. შეცდომები კი ყველას მოსდის და ყოველთვის ვერიდები არბიტრების კრიტიკას. მსაჯობა ურთულესი პროფესიაა, განსაკუთრებით იტალიაში“ — განაცხადა რანიერიმ.

„იუვენტუსის“ მეკარე ჯანლუიჯი ბუფონი: „ვითარებას ძალიან პრაგმატულად და რეალურად შევაფასებ — არა მგონია, მიმდინარე სეზონში სკუდეტოს მოპოვება შევძლოთ, რადგან, სულ ცოტა, ორი-სამი კლუბია, რომლებიც ჩვენზე ორგანიზებულნი და დაბალანსებულნი არიან. თუმცა ბოლომდე ვიბრძოლებთ და თუ სტაბილურად წინსვლას და თამაშს შევძლებთ, ჩემპიონთა ლიგის საგზურს აუცილებლად მოვიპოვებთ. ფაქტია, ისეთი რესურსი არ გვაქვს, როგორიც „ინტერს“ ან ახლა კრიზისში მყოფ „მილანს“, მაგრამ ყველასთვის ანგარიშგასაწევი ძალა ვართ. რასაკვირველია, კარგი იქნებოდა, სერია A-ს ლიდერისთვის მოგვეგო, მაგრამ ფრეც მისაღები შედეგია. რანიერის აზრს ვიზიარებ, ვფიქრობ, ბევრი ნეიტრალური ქომაგიც ჩვენს მხარეს იყო, რათა სკუდეტოსთვის ბრძოლა კიდევ უფრო დაიძაბოს. მიუხედავად ყველაფრისა, ფანები და ფეხბურთელები ჩინებულად მოვიქეცით, ნერვები მოვთოკეთ და უსიამოვნო ინციდენტი არ ყოფილა, რაც ძალიან კარგია. ამისთვის მადლობა პრესასაც უნდა ვუთხრათ. ჟურნალისტებმა მატჩის წინ ვითარება ზედმეტად არ დაძაბეს“.

„იუვეში“ ბუფონი, ტრადიციციულად, ერთ-ერთი საუკეთესო იყო. მან რამდენიმე რთული ბურთი მოიგერია და ესტებან კამბიასოს ოფსაიდიდან გატანილ გოლზეც ისაუბრა...

„რამდენჯერმე კარგად ვითამაშე, მაგრამ ჩემგან ხალხი სწორედ ამას ითხოვს ისევე, როგორც მე საკუთარი თავისგან! რაფაელე პალადინომ დაიმსახურა მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელება. იგი ბრწყინვალე გახლდათ. მისი სახით დიდი ფეხბურთელი გვეზრდება. რაც შეეხება თამაშგარედან გასულ გოლს, კრისტიან კივუს საჯარიმო დარტყმას ვერ ვხედავდი, მაგრამ ბურთის დაჭერა ვცადე, თუმცა მინდორი ისეთი სველი იყო, რომ გამისხლტა და აშკარად ოფსაიდში მყოფ კამბიასოს მიუვიდა“ — დასძინა ბუფონმა.

„წაგება არ დაგვიმსახურებია და ფრე სამართლიანი იყო. „ინტერი“ მთლიანად უმაღლესი კლასის მოთამაშეებითაა დაკომპლექტებული და თავისი ძალა გამოაჩინა. თუმცა მილანელებს არ გაურისკავთ და ჩვენს შორის დიდი სხვაობა არ იყო. მოსაგებად ვითამაშეთ და ყველას ვაჩვენეთ, რომ სკუდეტოსთვის ვიბრძოლებთ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სერია B-დან ამოვედით და კიდევ ბევრი გვაქვს სამუშაო. დღეს კვლავ დამტკიცდა, რომ „იუვე“ ყოველთვის „იუვე“ იქნება“ — განაცხადა დელ პიერომ.

„ნეროადურის“ თავკაცი რობერტო მანჩინი: „ტურინში ფრისთვის არ ჩავსულვართ, მაგრამ თუ სხვაობას ვერ გაზრდი, შეიძლება, გაგითანაბრონ და სამწუხაროდ, ასეც მოხდა. ფრე სამართლიანი შედეგი არ არის, მოგებას ვიმსახურებდით. ჩვენივე ბრალია, კარგად კი ვითამაშეთ, მაგრამ მეორე გოლი უნდა გაგვეტანა. „იუვენტუსი“ ასეთ შეცდომას არ გაპატიებს. ეს უმნიშვნელოვანესი მატჩი იყო და, სწორედ ამიტომ, უფრო მწვავედ უნდა გვეთამაშა და, რაც შეიძლება, მეტი გოლი გაგვეტანა“.

„ტურინში თამაში ადვილი არასოდესაა, მაგრამ ჩინებულად გამოვიყურებოდით და კიდევ ერთხელ დავამტკიცეთ, რომ ძალიან ძლიერი გუნდი გვყავს. თუმცა, სამწუხაროდ, მოგება ვერ შევძელით, მიუხედავად იმისა, რომ დავიმსახურეთ“ — აღნიშნა „ინტერის“ კაპიტანმა ხავიერ ძანეტიმ.

ესტებან კამბიასო: „ჩემთვის ეს დაკარგული ორი ქულაა და ძალიან ვწუხვარ, რომ ვერ მოვიგეთ. არაერთი მომენტი გვქონდა და ჩვენი ბრალია, რომ ვერ გამოვიყენეთ. როცა შანსს ხელიდან უშვებ, მეტოქე დაგსჯის და ასეც მოხდა“.

„იუვენტუსსა“ და „ინტერს“ ფრედ 2001 წლის მერე არ უთამაშიათ.

**გიორგი ძაძაბაძე**



ზდენეკ გრიგერა და აპარესიდო სეზარი



ხულიო სეზარ ლეონი

# პლუს-მინუს სერია

**ვერ მოიგო „რომამ“, ვერ მოიგო „მილანმა“, „ლაციო“ შინ დამარცხდა „ფიორენტინასთან“, „დერბი დიტალია“ ფრედ დასრულდა, „რეჯინას“ ახალი მწვრთნელი რენცო ულივიერი გუნდს სეზონში პირველ მატჩს აგებინებდა, თან სტუმრად „ნაპოლისთან“, მაგრამ ეზეკიელ ლავეციმ ბოლო წამს გამოჰგჯილა სამი ქულა რეჯოკალაბრიელებს, „ჯენოამ“ და „პალერმომ“ ერთმანეთს სამ-სამი გოლი გაუტანეს... ასეთი იყო სერია A-ს მე-11 ტური. დანარჩენს CHANNEL4.COM-ის ჩანახატიდან გაიგებთ. ტურის საუკეთესო ამჯერად „ჯენოას“ ჰონდურასული ფორვარდი ხულიო სეზარ ლეონია...**

## გამარჯვებულები

**ხულიო სეზარ ლეონი (ჯენოა)** — 28 წლის ფორვარდი ნელ-ნელა იპყრობს „გრიფონის“ ფანების გულებს. ჰონდურასელი „პალერმოსთან“ მატჩში ბრწყინვალე იყო. მან ორი მშვენიერი გოლიც გაიტანა. ლეონს რამდენიმე გრანდს უკავშირებენ და თუ ასე გააგრძელა, შესაძლოა, მისი შეძენა იანვარშივე სცადონ.

**ხულიო კრუზი (ინტერი)** — არგენტინელი, ფაქტობრივად, აიძულა რობერტო მანჩინი, იგი ძირითადში დაეყენებინა და გაიტანა კიდეც თავისი. „იუვენტუსთან“ გატანილი მისი მორიგი გოლით კრუზმა დაამტკიცა რომ იმაზე მეტია, ვიდრე სუპერსათადარიგო.

**მატეო სერენი (ტორინო)** — „იფსვიჩისა“ და „ლაციოს“ ექსმეკარე კარიერაში ერთ-ერთ საუკეთესო სეზონს ატარებს. ამჯერად მან „მილანთან“ მატჩში გაიბრწყინა. განსაკუთრებით იმ ეპიზოდში, როცა ალბერტო ჯილარდინოს ურთულესი ბურთი აუღო.

## დამარცხებულები

**მარკო ბალოტა (ლაციო)** — „ბიანკოჩელესტის“ 43 წლის მეკარემ გუნდს „ფიორენტინასთან“ წააგებინა კურიოზული და უხეში შეცდომით. მან ემილსონ კრიბარისგან ბურთის კუთხურზე გადაშვება არ ისურვა და ამ დროს ისე გამოუვიდა, რომ ჯამპაოლო პაცინის აჩუქა გოლი.

**ალბერტო ჯილარდინო (მილანი)** — „სამპდორიასთან“ დუბლის შემდეგ კაცი იფიქრებდა, ბოლო-ბოლო ჯილამ უკან მოიტოვა რთული პერიოდი და ათამაშდაო, მაგრამ მან ისევ გააწბილა „როსონერის“ ფანები. „ტორინოსთან“ შეხვედრაში ყოფილი პარმელი ისევ უსუსური იყო. „მილანის“ ბანაკში მის კრიტიკას ყოველთვის ერიდებიან ხოლმე, მაგრამ ამჯერად კარლო ანჩელოტიმ თავი ვერ შეიკავა და საჯაროდ გააკრიტიკა.

**ლუჩანო სპალეტი (რომა)** — კვირას სპალეტი კიდევ ერთხელ დაბრუნდა იმ მინდორზე, რომელზედაც სახელი გაითქვა და თავის ყოფილ გუნდს მისი ამჟამინდელი „რომა“ უგებდა კიდეც 2:0-ს, მაგრამ მეორე ტაიმში ტოსკანელებმა ანგარიშის გათანაბრება შეძლეს და „ჯალოროსიმ“ „ინტერთან“ სხვაობა ველარ შეამცირა. ეს სპალეტის გადაწყვეტილების ბრალიც გახლავთ.

## გოლები

**ლუდოვიკ ჟიული (რომა)** — ტანჩია ფრანგმა „ემპოლისთან“ კარგად ითამაშა და ლამაზი გოლიც გაიტანა დაბალი, ზუსტი და ჭკვიანური დარტყმით.

**ხულიო სეზარ ლეონი** — იგი, შესაძლოა, ისეთი ცნობილი არ არის, როგორც ანდრეა პირლო ან ჟუნინიო პერნამბუკანო, მაგრამ „პალერმოს“ ისეთი ჯარიმა გაუტანა, ნებისმიერ საჯარიმოების ოსტატს შეშურდებოდა. ბურთი ზუსტად ცხრიანში შევარდა, იქ, სადაც მეკარე, უბრალოდ, ვერ იქნებოდა.

**სერჯო ვოლპი (სამპდორია)** — მის ამ დარტყმას ალბათ ვერც ერთი მეკარე ვერ შეაჩერებდა. პაოლო სამარკოსა და ანდრეა კარაჩოლოს აქტიურობის მერე ბურთი გენუელთა კაპიტანს მიუვიდა და მანაც უძლიერესი გასროლით ჩაჭედა იგი კარში.

## რიცხვები

**საშინაო დავალება:** „მილანის“ საშინაო დავალებად მიმდინარე სერია A-ში საკუთარ კედლებში თამაშის მოგება უნდა ჩავთვალოთ. „როსონერი“ „სან სიროზე“ კვლავ მოუგებელია და მხოლოდ სამი ბურთი აქვს გატანილი, მაშინ, როდესაც სტუმრად ხუთჯერ მეტი — 15.

**ბურთი და წერტილი:** „კატანიას“ ხუთმატჩიან წაუგებელ სერიას „ატალანტასთან“ საშინაო მარცხით (1:2) დაესვა წერტილი. „ელეფანტი“ აქამდე წაუგებლად მეხუთე ტურიდან, „ემპოლისთან“ მოგების მერე მოდიოდა.

**დიდება ჩეზარეს:** „ფიორენტინას“ მთავარ მწვრთნელ ჩეზარე პრანდელის „იებთან“ ერთად ფენომენალური რეკორდი აქვს. სერია A-ს ბოლო 29 მატჩიდან ფლორენციელებს მხოლოდ ერთი წაგება აქვთ.

# სარბიელი და კრონი

## წარმოგიდგენთ

### ინგლისი. ჩემპიონატი

6 ნოემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:30 | 75 | სკანთორპი-სტოკი | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| 23:45 | 76 | შეფილდი-იფსვიჩი | 2.15 | 3.20 | 2.90 | 1.28 | 1.23 | 1.52 |
| 23:45 | 77 | ყაუთჰემპტონი-ვულვერჰემპტონი | 2.25 | 3.20 | 2.75 | 1.32 | 1.23 | 1.47 |
| 23:45 | 78 | ვესტ ბრომვიჩი-უენსდი | 1.40 | 3.70 | 7.00 | 1.01 | 1.16 | 2.42 |
| 23:45 | 79 | ბრისტოლი-ჩარლტონი | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 23:45 | 80 | ბარნლი-ჰალი | 1.95 | 3.20 | 3.40 | 1.21 | 1.23 | 1.64 |
| 23:45 | 81 | კარდიფი-კრისტალ პალასი | 1.85 | 3.20 | 3.75 | 1.17 | 1.23 | 1.72 |
| 23:45 | 82 | კოლჩესტერი-პლიმუთი | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| 23:45 | 83 | ნორვიჩი-უოტფორდი | 3.80 | 3.30 | 1.80 | 1.76 | 1.22 | 1.16 |
| 23:45 | 84 | პრესტონი-ლესტერი | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| 23:45 | 85 | ქპრ-ქოვენთრი | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |

### ინგლისი. I ლიგა

6 ნოემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 98 | პორტ ვეილი-ქრიუ | 2.35 | 3.20 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.44 |
| 23:45 | 99 | სუინდონი-ლეიტონი | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| 23:45 | 100 | ბორნმუთი-ლიდსი | 4.40 | 3.40 | 1.67 | 1.91 | 1.21 | 1.11 |
| 23:45 | 101 | ტრანმერი-ოლდემი | 1.65 | 3.40 | 4.40 | 1.11 | 1.20 | 1.91 |
| 23:45 | 102 | ბრაიტონი-უოლსოლი | 1.85 | 3.20 | 3.80 | 1.17 | 1.24 | 1.73 |
| 23:45 | 103 | ჩელტენემი-იოვილი | 2.65 | 3.10 | 2.40 | 1.42 | 1.25 | 1.35 |
| 23:45 | 104 | ჯილინგემი-დონკასტერი | 2.65 | 3.10 | 2.40 | 1.42 | 1.25 | 1.35 |
| 23:45 | 105 | ჰადერსფილდი-ჰარტლპული | 2.40 | 3.10 | 2.65 | 1.35 | 1.25 | 1.42 |
| 23:45 | 106 | ლუტონი-კარლაილი | 2.50 | 3.10 | 2.55 | 1.38 | 1.26 | 1.39 |
| 23:45 | 107 | მილუოლი-სუონსი | 2.65 | 3.10 | 2.35 | 1.42 | 1.24 | 1.33 |
| 23:45 | 108 | ნორთჰემპტონი-როვერსი | 1.85 | 3.20 | 3.80 | 1.17 | 1.24 | 1.73 |
| 23:45 | 109 | ნოტინგემი-საუთენდი | 1.85 | 3.20 | 3.80 | 1.17 | 1.24 | 1.73 |

### ინგლისი. II ლიგა

6 ნოემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 110 | როჩდეილი-სტოკპორტი | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| 23:45 | 111 | როტერჰემი-ბერი | 1.90 | 3.20 | 3.55 | 1.19 | 1.23 | 1.68 |
| 23:45 | 112 | ბარნეტი-ნოტსი | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| 23:45 | 114 | ბრედფორდი-ჩესტერი | 2.65 | 3.30 | 2.30 | 1.46 | 1.23 | 1.35 |
| 23:30 | 115 | დარლინგტონი-შრიუსბერი | 1.90 | 3.20 | 3.55 | 1.19 | 1.23 | 1.68 |
| 23:45 | 116 | ჰერეფორდი-მენსფილდი | 1.65 | 3.40 | 4.45 | 1.11 | 1.20 | 1.92 |
| 23:45 | 117 | ლინკოლნი-ჩესტერფილდი | 2.85 | 3.20 | 2.20 | 1.50 | 1.24 | 1.30 |
| 23:45 | 118 | მაკლსფილდი-ბრენტფორდი | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| 23:45 | 119 | დონსი-გრიმსბი | 1.45 | 3.70 | 6.50 | 1.04 | 1.18 | 2.35 |
| 23:45 | 120 | მორიკომბი-აკრინგტონი | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 23:45 | 121 | პიტერბრო-დაგ ენდ რედი | 1.50 | 3.40 | 6.00 | 1.04 | 1.20 | 2.17 |

7 ნოემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 113 | რექსემი-უიკომბი | 2.65 | 3.10 | 2.35 | 1.42 | 1.24 | 1.33 |

### შოტლანდია. III დივიზიონი

6 ნოემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 54 | მონტროუზი-სტრანრარი | 2.15 | 3.50 | 2.60 | 1.33 | 1.17 | 1.49 |

### ჩემპიონთა ლიგა

6 ნოემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 1 | ლივერპული-ბეშიქთაში | 1.27 | 4.50 | 9.50 | 1.00 | 1.12 | 3.05 |
| 23:45 | 2 | ლივერპული-ბეშიქთაში | 0:11.70 | 3.50 | 3.50 | | | |
| 23:45 | 3 | პორტუ-მარსელი | 1.70 | 3.20 | 4.70 | 1.11 | 1.24 | 1.90 |
| 23:45 | 4 | ვალენსია-რუსენბორგი | 1.20 | 5.30 | 11.00 | 1.00 | 1.08 | 3.57 |
| 23:45 | 5 | ვალენსია-რუსენბორგი 0:1 | 1.65 | 3.60 | 3.90 | | | |
| 23:45 | 6 | შალკე-ჩელსი | 3.00 | 3.20 | 2.20 | 1.54 | 1.26 | 1.30 |
| 23:45 | 7 | ლაციო-ვერდერი | 2.30 | 3.10 | 2.85 | 1.32 | 1.27 | 1.48 |
| 23:45 | 8 | ოლიმპიაკოსი-რეალი | 3.40 | 3.10 | 2.00 | 1.62 | 1.25 | 1.21 |
| 23:45 | 9 | სელტიკი-ბენფიკა | 1.95 | 3.10 | 3.60 | 1.19 | 1.26 | 1.66 |
| 23:45 | 10 | შახტარი-მილანი | 3.10 | 3.10 | 2.10 | 1.54 | 1.25 | 1.25 |

7 ნოემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 11 | მანჩესტერი-დინამო კ | 1.18 | 5.30 | 13.00 | 1.00 | 1.08 | 3.76 |
| 23:45 | 12 | მანჩესტერი-დინამო კ 0:1 | 1.55 | 3.70 | 4.10 | | | |
| 23:45 | 13 | სპორტინგი-რომა | 2.70 | 3.10 | 2.45 | 1.44 | 1.28 | 1.36 |
| 23:45 | 14 | ინტერი-ცსკა | 1.25 | 4.50 | 9.50 | 1.00 | 1.10 | 3.05 |
| 23:45 | 15 | ინტერი-ცსკა 0:1 | 1.70 | 3.40 | 3.50 | | | |
| 23:45 | 16 | ფენერბაჰჩე-პსვ | 2.10 | 3.10 | 3.20 | 1.25 | 1.26 | 1.57 |
| 23:45 | 17 | სლავია-არსენალი | 6.30 | 3.60 | 1.45 | 2.29 | 1.17 | 1.03 |
| 23:45 | 18 | სლავია-არსენალი 1:0 | 2.40 | 3.30 | 2.25 | | | |
| 23:45 | 19 | სტიაუა-სევილია | 4.80 | 3.40 | 1.65 | 1.99 | 1.22 | 1.11 |
| 23:45 | 20 | ლიონი-შტუტგარტი | 1.45 | 3.60 | 6.00 | 1.03 | 1.16 | 2.25 |
| 23:45 | 21 | ლიონი-შტუტგარტი 0:1 | 2.15 | 3.30 | 2.55 | | | |
| 23:45 | 22 | ბარსელონა-რეინჯერსი | 1.22 | 4.90 | 11.50 | 1.00 | 1.10 | 3.43 |
| 23:45 | 23 | ბარსელონა-რეინჯერსი | 0:11.70 | 3.40 | 3.60 | | | |

### უეფას თასი

8 ნოემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 24 | ბაიერნი-ბოლტონი | 1.25 | 4.50 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.10 |
| 19:30 | 26 | ლარისა-ზენიტი | 2.80 | 3.10 | 2.30 | 1.47 | 1.26 | 1.32 |
| 23:45 | 27 | არისი-ცრვენა ზვეზდა | 2.10 | 3.10 | 3.20 | 1.25 | 1.26 | 1.57 |
| 23:45 | 28 | ნიურნბერგი-ევერტონი | 2.55 | 3.10 | 2.50 | 1.39 | 1.26 | 1.38 |
| 20:00 | 29 | ჰაპოელი თა-ტოტენჰემი | 4.50 | 3.20 | 1.70 | 1.87 | 1.23 | 1.11 |
| 23:45 | 30 | აბერდინი-ლოკომოტივი(მ) | 3.20 | 3.10 | 2.10 | 1.57 | 1.26 | 1.25 |
| 22:15 | 31 | ოლბორგი-ანდერლეხტი | 2.40 | 3.10 | 2.65 | 1.35 | 1.25 | 1.42 |
| 23:15 | 32 | კოპენჰაგენი-პანათინაიკოსი | 2.25 | 3.10 | 2.85 | 1.30 | 1.25 | 1.48 |
| 22:00 | 33 | გალათასარაი-ჰელსინგბორგი | 1.30 | 4.50 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2.88 |
| 23:45 | 35 | ფიორენტინა-ელფსბორგი | 1.27 | 4.50 | 9.50 | 1.00 | 1.12 | 3.05 |
| 23:15 | 37 | აუსტრია-ბორდო | 2.60 | 3.10 | 2.45 | 1.41 | 1.26 | 1.36 |
| 23:30 | 38 | ბოლესლავი -ვილიარეალი | 5.00 | 3.50 | 1.55 | 2.05 | 1.18 | 1.07 |
| 22:00 | 40 | რენი-ბრანი | 1.45 | 3.60 | 6.50 | 1.03 | 1.18 | 2.31 |
| 23:15 | 42 | დინამო ზ-ბაზელი | 1.90 | 3.10 | 3.65 | 1.17 | 1.24 | 1.67 |
| 23:30 | 43 | ტულუზი-სპარტა | 1.70 | 3.40 | 4.35 | 1.13 | 1.22 | 1.90 |
| 20:00 | 44 | სპარტაკი მ-ლევერკუზენი | 2.05 | 3.10 | 3.30 | 1.23 | 1.26 | 1.59 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10001 | ლივერპული-ბეშიქთაში | 1.50 | 2.60 | 7.00 | 1.00 | 1.23 | 1.89 |
| 10003 | პორტუ-მარსელი | 2.10 | 2.10 | 4.85 | 1.04 | 1.46 | 1.46 |
| 10004 | ვალენსია-რუსენბორგი | 1.40 | 2.80 | 7.00 | 1.00 | 1.16 | 2.00 |
| 10006 | შალკე-ჩელსი | 3.40 | 2.00 | 2.60 | 1.25 | 1.47 | 1.13 |
| 10007 | ლაციო-ვერდერი | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10008 | ოლიმპიაკოსი-რეალი | 3.80 | 2.00 | 2.40 | 1.31 | 1.47 | 1.09 |
| 10009 | სელტიკი-ბენფიკა | 2.40 | 2.00 | 3.80 | 1.09 | 1.47 | 1.31 |
| 10010 | შახტარი-მილანი | 3.50 | 2.00 | 2.60 | 1.27 | 1.49 | 1.13 |
| 10011 | მანჩესტერი-დინამო კ | 1.35 | 2.90 | 8.00 | 1.00 | 1.15 | 2.12 |
| 10013 | სპორტინგი-რომა | 3.10 | 2.00 | 2.85 | 1.21 | 1.48 | 1.17 |
| 10014 | ინტერი-ცსკა | 1.50 | 2.70 | 7.00 | 1.00 | 1.23 | 1.94 |
| 10016 | ფენერბაჰჩე-პსვ | 2.50 | 2.00 | 3.60 | 1.11 | 1.47 | 1.28 |
| 10017 | სლავია-არსენალი | 5.50 | 2.10 | 1.85 | 1.51 | 1.38 | 1.00 |
| 10019 | სტიაუა-სევილია | 5.10 | 2.10 | 2.15 | 1.48 | 1.51 | 1.06 |
| 10020 | ლიონი-შტუტგარტი | 1.80 | 2.20 | 6.00 | 1.00 | 1.38 | 1.60 |
| 10022 | ბარსელონა-რეინჯერსი | 1.50 | 2.70 | 7.00 | 1.00 | 1.23 | 1.94 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11001 | ლივერპული-ბეშიქთაში | 1.55 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11003 | პორტუ-მარსელი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11004 | ვალენსია-რუსენბორგი | 1.55 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11006 | შალკე-ჩელსი | 4.40 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.50 |
| 11007 | ლაციო-ვერდერი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11008 | ოლიმპიაკოსი-რეალი | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11009 | სელტიკი-ბენფიკა | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11010 | შახტარი-მილანი | 4.60 | 10.00 | 20.00 | 5.30 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11011 | მანჩესტერი-დინამო კ | 1.45 | 15.00 | 35.00 | 3.50 | 5.00 | 14.00 | 20.00 | 12.00 | 12.00 |
| 11013 | სპორტინგი-რომა | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11014 | ინტერი-ცსკა | 1.55 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11016 | ფენერბაჰჩე-პსვ | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11017 | სლავია-არსენალი | 8.00 | 10.00 | 20.00 | 9.00 | 4.80 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.00 |
| 11019 | სტიაუა-სევილია | 7.50 | 10.00 | 20.00 | 8.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.40 |
| 11020 | ლიონი-შტუტგარტი | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11022 | ბარსელონა-რეინჯერსი | 1.55 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12001 | ლივერპული-ბეშიქთაში | 1.90 | 1.70 |
| 12003 | პორტუ-მარსელი | 1.60 | 2.00 |
| 12004 | ვალენსია-რუსენბორგი | 2.00 | 1.60 |
| 12006 | შალკე-ჩელსი | 1.60 | 2.00 |
| 12007 | ლაციო-ვერდერი | 1.90 | 1.70 |
| 12008 | ოლიმპიაკოსი-რეალი | 1.90 | 1.70 |
| 12009 | სელტიკი-ბენფიკა | 1.60 | 2.00 |
| 12010 | შახტარი-მილანი | 1.70 | 1.90 |
| 12011 | მანჩესტერი-დინამო კ | 2.10 | 1.50 |
| 12013 | სპორტინგი-რომა | 1.70 | 1.90 |
| 12014 | ინტერი-ცსკა | 1.90 | 1.70 |
| 12016 | ფენერბაჰჩე-პსვ | 1.70 | 1.90 |
| 12017 | სლავია-არსენალი | 1.90 | 1.70 |
| 12019 | სტიაუა-სევილია | 1.90 | 1.70 |
| 12020 | ლიონი-შტუტგარტი | 1.90 | 1.70 |
| 12022 | ბარსელონა-რეინჯერსი | 2.00 | 1.60 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13001 | ლივერპული-ბეშიქთაში | 2.00 | 1.60 |
| 13003 | პორტუ-მარსელი | 1.70 | 1.90 |
| 13004 | ვალენსია-რუსენბორგი | 1.90 | 1.70 |
| 13006 | შალკე-ჩელსი | 1.70 | 1.90 |
| 13007 | ლაციო-ვერდერი | 1.60 | 2.00 |
| 13008 | ოლიმპიაკოსი-რეალი | 1.70 | 1.90 |
| 13009 | სელტიკი-ბენფიკა | 1.70 | 1.90 |
| 13010 | შახტარი-მილანი | 1.70 | 1.90 |
| 13011 | მანჩესტერი-დინამო კ | 2.00 | 1.60 |
| 13013 | სპორტინგი-რომა | 1.70 | 1.90 |
| 13014 | ინტერი-ცსკა | 1.90 | 1.70 |
| 13016 | ფენერბაჰჩე-პსვ | 1.70 | 1.90 |
| 13017 | სლავია-არსენალი | 1.90 | 1.70 |
| 13019 | სტიაუა-სევილია | 1.70 | 1.90 |
| 13020 | ლიონი-შტუტგარტი | 1.90 | 1.70 |
| 13022 | ბარსელონა-რეინჯერსი | 1.90 | 1.70 |

### გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17001 | ლივერპული-ბეშიქთაში | 1.85 | 1.95 |
| 17003 | პორტუ-მარსელი | 1.85 | 1.95 |
| 17004 | ვალენსია-რუსენბორგი | 1.85 | 1.95 |
| 17006 | შალკე-ჩელსი | 1.85 | 1.95 |
| 17007 | ლაციო-ვერდერი | 1.85 | 1.95 |
| 17008 | ოლიმპიაკოსი-რეალი | 1.85 | 1.95 |
| 17009 | სელტიკი-ბენფიკა | 1.85 | 1.95 |
| 17010 | შახტარი-მილანი | 1.85 | 1.95 |
| 17011 | მანჩესტერი-დინამო კ | 1.85 | 1.95 |
| 17013 | სპორტინგი-რომა | 1.85 | 1.95 |
| 17014 | ინტერი-ცსკა | 1.85 | 1.95 |
| 17016 | ფენერბაჰჩე-პსვ | 1.85 | 1.95 |
| 17017 | სლავია-არსენალი | 1.85 | 1.95 |
| 17019 | სტიაუა-სევილია | 1.85 | 1.95 |
| 17020 | ლიონი-შტუტგარტი | 1.85 | 1.95 |
| 17022 | ბარსელონა-რეინჯერსი | 1.85 | 1.95 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15003 | პორტუ-მარსელი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15006 | შალკე-ჩელსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15007 | ლაციო-ვერდერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15008 | ოლიმპიაკოსი-რეალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15009 | სელტიკი-ბენფიკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15010 | შახტარი-მილანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15013 | სპორტინგი-რომა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15016 | ფენერბაჰჩე-პსვ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15017 | სლავია-არსენალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15019 | სტიაუა-სევილია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15020 | ლიონი-შტუტგარტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16001 | ლივერპული-ბეშიქთაში | 1.02 | 5.70 |
| 16003 | პორტუ-მარსელი | 1.24 | 3.60 |
| 16004 | ვალენსია-რუსენბორგი | 1.02 | 6.70 |
| 16006 | შალკე-ჩელსი | 2.10 | 1.55 |
| 16007 | ლაციო-ვერდერი | 1.62 | 2.05 |
| 16008 | ოლიმპიაკოსი-რეალი | 2.45 | 1.37 |
| 16009 | სელტიკი-ბენფიკა | 1.35 | 2.65 |
| 16010 | შახტარი-მილანი | 2.20 | 1.52 |
| 16013 | სპორტინგი-რომა | 1.80 | 1.80 |
| 16014 | ინტერი-ცსკა | 1.02 | 5.70 |
| 16016 | ფენერბაჰჩე-პსვ | 1.35 | 2.50 |
| 16017 | სლავია-არსენალი | 4.10 | 1.07 |
| 16019 | სტიაუა-სევილია | 3.30 | 1.20 |
| 16020 | ლიონი-შტუტგარტი | 1.05 | 4.80 |
| 16022 | ბარსელონა-რეინჯერსი | 1.01 | 6.70 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს
(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14001 | ლივერპული-ბეშიქთაში | 1.08 | 2.90 |
| 14003 | პორტუ-მარსელი | 1.45 | 2.40 |
| 14006 | შალკე-ჩელსი | 2.00 | 1.80 |
| 14007 | ლაციო-ვერდერი | 1.80 | 2.00 |
| 14008 | ოლიმპიაკოსი-რეალი | 2.20 | 1.70 |
| 14009 | სელტიკი-ბენფიკა | 1.70 | 2.20 |
| 14010 | შახტარი-მილანი | 2.10 | 1.75 |
| 14013 | სპორტინგი-რომა | 1.95 | 1.85 |
| 14014 | ინტერი-ცსკა | 1.08 | 2.90 |
| 14016 | ფენერბაჰჩე-პსვ | 1.75 | 2.10 |
| 14017 | სლავია-არსენალი | 2.60 | 1.20 |
| 14019 | სტიაუა-სევილია | 2.40 | 1.45 |
| 14020 | ლიონი-შტუტგარტი | 1.20 | 2.60 |
| 14022 | ბარსელონა-რეინჯერსი | 1.08 | 2.90 |



ვლადიმერ ბოისას ვლადივოსტოკში ცუდი დროება უდგას

# ათქულიანი რუბიკონი

## ევროპის ქართული გვალვა

**ასეთი უხეირო კვირეული, ქართულ ლეგიონერებს ახლა რომ ჰქონდათ, ძნელად გვაგონდება. ევროპის ეროვნულ ჩემპიონატებში გაბნეულმა საქართველოს ნაკრების წევრებმა დასამახსოვრებელი ვერაფერი გააკეთეს — ვერც ერთი მათგანი ვერ ასცდა ათქულიან ზღვარს. ყველაზე მეტი ქულა ნიკოლოზ ცქიტიშვილმა მიითვალა და ჩვენც მისით დავიწყოთ ამ ჯერზე მეტად მოსაწყენი ლეგიონერული მიმოხილვა**

### იტალია

ტერამოს „სივილიას“ კარგი შანსი ჰქონდა, მდევართა ჯგუფს გამოყოფოდა და სერია A-ს ცხრილის მეორე საფეხურზე გამაგრებულიყო, მაგრამ შინ დასანანი მარცხი იწვნია „სკაფატთან“ და ახლა 5 გუნდთან მეორე-მეექვსე ადგილებს იყოფს.

ტერამოელებმა ბოლო წამებზე 73:75 წააგეს, თუმცა ჩვენთვის საინტერესო უფრო ცქიტიშვილის მონაგარია. ნიკამ 23 წუთი ითამაშა, 7 ქულასა და 5 მოხსნას მოუყარა თავი, თუმცა თამაშიდან სროლის პროცენტული მაჩვენებელი ჰქონდა დაბალი — 11 სროლიდან მხოლოდ 3 ჩააგდო და ის ზუსტი მსროლელის იმიჯი, სეზონის დასაწყისში რომ შეიძინა, გვარიანად შეელახა.

### უკრაინა

მანუჩარ მარკოიშვილის „ბკ კიევმა“ პირველი სერიოზული გამოცდა ჩააბარა უკრაინის ჩემპიონატში. კიეველებს აქამდე ხეირიანი მეტოქე არ შეხვედროდათ, თუმცა ვერც „ხიმკი“ გამოდგა მათი შემჩერებელი. დედაქალაქელებმა 74:68 დაამარცხეს პროვინციული იუჟნის გუნდი და უკრაინულ სუპერლიგას ხუთიდან 5 გამარჯვებით ლიდერობენ კიდევ ერთ დაუმარცხებელ „აზოვმაშთან“ ერთად.

მარკოიშვილმა 23 წუთი ითამაშა და 6 ქულას 1 მოხსნა მიაყოლა. ქართველ უკანახაზელს არ გაუმართლა პერიმეტრსმიღმიდან, სამივე შორი სროლა ააცილა, თუმც 7 ცდიდან 3 ორქულიანი მიითვალა.

### ლიტვა

აქამდე არ დაგვიწერია ლიტვურ „ალიტუსში“ მოთამაშე სერგო ათუაშვილზე. მიზეზი მარტივი იყო. მას მოედანზე გასვლა თითქმის არ უწევდა. ლიტვის ჩემპიონატის გასულ ტურში კი „ალიტუსი“ ბალტიური კალათბურთის გრანდ „ჟალგირისს“ შეხვდა და 223-სანტიმეტრიანმა ქართველმა ცენტრმა 14 წუთი დაყო ფიცარნაგზე. ათუაშვილს ეპიზოდებში ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს მეფარესთან, ეურელიუს ჟუკაუსკასთან უწევდა ორთაბრძოლა და მისდა სასახელოდ, 4 ქულასა და ამდენივე მოხსნას მოუკრა პირი. „ალიტუსი“ კი, რა თქმა უნდა, დამარცხდა — 76:122.

### რუსეთი

ვლადიმერ ბოისას გვალვიანი პერიოდი გაუგრძელდა. ბოლო ტურებში უფხოდ მოთამაშე „სპარტაკ-პრიმორიეს“ ჩვენებურმა ფორვარდმა ამჯერადაც ვერ გამოიჩინა თავი. ვლადივოსტოკელებმა სუპერლიგაში მეორე გამარჯვება მოიპოვეს და ვოვამ ამაში მოკრძალებული წილი დაიდო.

„ენისეისთან“ თამაში ვოვას ხუთეულში არ დაუწყია, თუმც სათადარიგო სკამიდან მოედანზე შესულმაც ვერაფერი გააწყო. 13 წუთში ბოისამ ქულა ვერ მოინაგრა და ვლადივოსტოკელებს მხოლოდ 3 მოხსნით, ამდენივე პასითა და 2 ჩაჭრით შეეწია.

### ესტონეთი

გიორგი ცინცაძის „როკი“ წლეულს გაცილებით სუსტია. ტარტუელებმა ბალტიის ლიგაში უკვე მეოთხე მატჩი წააგეს — ამჯერად ლატვიურ „ვენტსპილსთან“ და თანაც უიმედოდ — 55:81.

გიორგი ცინცაძემ გვარიანი დროით იყო მოედანზე, თუმც 25 წუთში 3-3 ქულა-მოხსნისა და 2 პასის გარდა ვერაფერი მოიხვეჭა.

### ესპანეთი

ტაირონ ელისმა ერთ-ერთი ყველაზე სუსტი მატჩი ჩაატარა პრიმერადივიზიონში. ქართულად ნატურალიზებულმა ამერიკელმა 36 წუთი ითამაშა „ბილბაოს“ წინააღმდეგ, თუმცა „კახასოლს“ 4 ქულაზე მეტით ვერ შეეწია. ერთადერთი, რამაც ელისს ხასიათი შეიძლება გამოუკეთოს, თანაგუნდელებისთვის ჩამორიგებული 6 პასია.

**ირაკლი პერტაია**

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ა. ტალანტი

## ატლანტელი ქორები აიქოჩრნენ

4 ნოემბერი

**დეტროიტი 92:91 ატლანტა**

**დეტროიტი:** ბილაფსი (22), ჰამილტონი (21), პრინსი (8), მაკდაიესი (4), ვოლესი (8); მაქსიელი (15), ჰეიესი (8), მიურეი (6), მუჰამედი, აფლალო

**ატლანტა:** ლუ (6), ჯ. ჯონსონი (23), მ. უილიამსი (22), სმიტი (13 ქულა, 10 მოხსნა, 5 დაფარება), ჰორფორდი (3 ქულა, 11 მოხსნა); ლოუ (11), ჩილდრესი (7), შ. უილიამსი (6)

**ზაზა ფაჩულიას არ უთამაშია**

**ტორონტო 95:98 ბოსტონი**

ძირითადი დრო 78:78

**ტორონტო:** ფორდი (32), ბოში (19 ქულა, 10 მოხსნა)

**ბოსტონი:** ალენი (33), გარნეტი (23 ქულა, 13 მოხსნა, 6 პასი), პირსი (13)

**ფინიქსი 103:92 კლივლენდი**

**ფინიქსი:** ნეში (30 ქულა, 10 პასი), მერიონი (23 ქულა, 12 მოხსნა), დიაუ (16), ბარბოსა (14)

**კლივლენდი:** ჯეიმსი (27 ქულა, 8 პასი, 5 მოხსნა, 4 დაფარება), გუდენი (22 ქულა, 14 მოხსნა), ილგაუსკასი (22 ქულა, 13 მოხსნა)

**ლეიკერსი 119:109 იუტა**

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (33), ფიშერი (19), ბინამი (15)

**იუტა:** უილიამსი (26), ბუზერი (23 ქულა, 12 მოხსნა, 6 პასი), ბრიუერი (15)

**მაიამი 88:90 შარლოტი**

**მაიამი:** ჰასლემი (18 ქულა, 10 მოხსნა), ონილი (17 ქულა, 9 მოხსნა)

**შარლოტი:** რიჩარდსონი (29), ფელტონი (19), ოკაფორი (16 ქულა, 13 მოხსნა)

**კლიპერსი 115:101 სიეტლი**

**კლიპერსი:** მაგეტი (27), ტომასი (20), მობლი (17)

**სიეტლი:** დურანტი (24), უილკინსონი (22), უილკოქსი (17)

**დენვერი 88:93 ნიუ ორლეანი**

**დენვერი:** აივერსონი (23), ენტონი (20)

**ნიუ ორლეანი:** ვესტი (17 ქულა, 13 მოხსნა,) პოლი (15 ქულა, 11 პასი, 8 მოხსნა, 4 ჩაჭრა)

**ნიუ იორკი 97:93 მინესოტა**

**ნიუ იორკი:** კროუფორდი (24), მარბერი (17), რენდოლფი (15 ქულა, 10 მოხსნა)

**მინესოტა:** გომესი (19), ჯეფერსონი (16 ქულა, 12 მოხსნა)

„ატლანტა ჰოქსს“ აკლია ძირითადი ცენტრი ზაზა ფაჩულიაც და მისი შემცვლელი ლორენცენ რაიტიც, მაგრამ მათ გარეშეც ყოჩაღად გამოიყურება. სეზონის სადებიუტო მატჩში „დალასის“ ძლევის შემდეგ „ქორები“ დეტროიტში ჩაფრინდნენ, იქაურ „პისტონზსაც“ ჯოჯოხეთური ბრძოლა გაუმართეს და ლამის მოიგეს კიდეც. 2004 წლის ჩემპიონები თავიანთმა სათადარიგოებმა — ჯერვის ჰეიესმა და ჯეისონ მაქსიელმა იხსნეს, რომელთაც დასკვნით მეოთხედში ჯამში 11 ქულა გაშანსეს და 10 ქულით ჩამორჩენილ და ფაქტობრივად დამარცხებულ მასპინძლებს ნესტოში ნატაკებ ნიშადურად მოევლინენ. გამარჯვების ბურთი კი მაინც ძველმა „გვარდიელმა“, „დეტროიტის“ კაპიტანმა ჩონსი ბილაფსმა ჩაუგდო „ატლანტას“. მერე ბილაფსმა სათადარიგოებსაც არ დაუკარგა გარჯა — ამათ გადაგვარჩინეს, თორემ ეს ქოფაკი ატლანტელები ულაპარაკოდ გადაგვსანსლავდნენო.

„ბოსტონ სელტიქსმა“ კი, „ატლანტასგან“ განსხვავებით, შეძლო გასვლითი თამაშის გამარჯვებამდე მიყვანა, ოღონდ კი ამისთვის დამატებით დროში ოფლის ღვრა დასჭირდა. „ბოსტონის“ ახალწვეული ვარსკვლავი რეი ალენი თავის სადებიუტო მატჩში მეორე ახალწვეულ კევინ გარნეტთან და „ბოსტონის“ ძველ ლიდერ პოლ პირსთან შედარებით ჩრდილში იყო. ახლა, ტორონტოში კი „რეპტილიების“ წინააღმდეგ მან ულიდერა „კელტებს“ და 33 ქულაც მოიხვეჭა. ალენმა ამ ძალზე საინტერესო შეხვედრაში 7 სამქულიანი ჩააგდო, აქედან ორი ოვერტაიმში გაისროლა. მეორე, 3 წამით ადრე ჩაგდებული, სულაც გადამწყვეტი გამოდგა.

ოვერტაიმში გაილაღა კევინ განეტმაც, რომელსაც ოთხ მეოთხედში მხოლოდ 13 ქულა მოუგროვდა, სამაგიეროდ, დამატებით ხუთწუთეულში გაშანსა ერთბაშად 10. ისე კი, ბოსტონელებს თავისუფლად შეეძლოთ ოვერტაიმამდეც სათავისოდ გადაეწყვიტათ მატჩის ბედი. იმავ რეი ალენმა პირველ მეოთხედში 13 ქულა გააკეთა და 23:14 მოაგებინა თავისიანებს. მერეც „სელტიქსი“ სულ იგებდა, მეოთხე პერიოდში 12 ქულითაც ლიდერობდა, მაგრამ მანამდე მთელი შეხვედრა უქმად მდგარმა „ტორონტოს“ ლიდერმა კრის ბოშმა ბოლოსკენ აიწყვიტა და ზემბიციურ ბოსტონელებსაც გამარჯვება სათუო გაუხდათ.

„ფინიქს სანზმა“ შინ ამარე სტუდემაიერის გარეშე დაამარცხა ლებრონ ჯეიმსის „კლივლენდი“. მასპინძლებმა თავიანთი მბორგავი ცენტრი მიკროტრავმის გამო დაასვენეს და ლებრონიანებს პირველი ტაიმი 6 ქულით დაუთმეს, მაგრამ მესამე მეოთხედი 31:19 მოიგეს და უკან აღარც მოუხედავთ. სტივ ნეშის ანგარიშზე მოვიდა 30 ქულა 10 პასითურთ. დამარცხებულებში კარგი იყო ლებრონი, მაგრამ...

„ლეიკერსმა“ გამარჯვებები ასე ხშირად რომ იხვეჭოს, კობი ბრაიანტი ამ გუნდიდან გაქცევაზე ფიქრს გადაიყრის გულიდან. ლოსანჯელესელებს სეზონის დასაწყისში სამი საკმაოდ ამბიციური გუნდი შეახვედრა კალენდარმა და მათაც ორს მოიგეს. კვირას შინ „იუტასთან“ აგებდნენ, მაგრამ ბოლო მეოთხედში იყოჩაღეს. თავად ბრაიანტმა 33 ქულით დაამთავრა მატჩი, „იუტადან“ ამ სეზონთაშორის პერიოდში გადმოსულმა დერიკ ფიშერმა კი 19 გააკეთა, აქედან 13 საჯარიმოებით.

2006 წლის ჩემპოინი „მაიამი“ კი წაგებათა სერიას ვერ წყვეტს. შაკილ ონილის გუნდმა ამ ჯერზე შინ ვერაფერი მოუხერხა „შარლოტს“. თავად შაკილი რომ პირველად ასცდა 10 ქულას. მან ოპონენტად ტრავმიანი პრიმოჟ ბრეზეცი მოიხელთა და 17 ქულა ჩაუგდო, მაგრამ ვაგლახ, მის უკბილო გუნდს ესეც ვერ ეყო ნავსის გასატეხად.

სამ თამაშში მესამე მოიგო „ნიუ ორლეანმა“. პროგნოზი მართლდება, თუ ამ გუნდს ტრავმები არ წალეკავს, ნებისმიერს გაუჭირდება მისი წაქცევა. კვირას მისისიპისპირელებს ალენ აივერსონის და კარმელო ენტონის „დენვერი“ შემოემარცხათ.

**კოტე ყორშია**



ჯეისონ უილიამსმა სულ ტყუილად იფრინა. მისი „მაიამი“ „შარლოტმა“ მიწაზე დაუშვა

## ძიუდო



გურამ მოდებაძე (მარჯვნივ) ზაზა კედელაშვილს ყველა ტურნირზე გვერდით უდგას

# გურამ მოდებაძე ფიქრებით პეკინშია

**გურამ მოდებაძე ძიუდოს სამყაროში პატივსაცემი კაცია. უბრალო გულშემატკივართაგან ალბათ ბევრმა არ იცის, რომ საქართველოს ნაკრების ძირითადი შვიდეულიდან ოთხი სწორედ მოდებაძის შეგირდია. მისსავე ხელში, აღმაშენებელზე მდებარე დარბაზში ვარჯიშობენ ახალგაზრდები, რომლებიც ეროვნულ გუნდს უახლოეს წლებში შეავსებენ. გურამ მოდებაძე ნაკრებში შოთა ხაბარელის მხარდამხარ მუშაობს და, ცხადია, ქართული ძიუდოს ბოლოდროინდელ გამარჯვებებშიც ლომის წილი მიუძღვის. ჩვენი საუბარი სულ ბოლო ნარმატებით, ევროპის გუნდური ჩემპიონობით დაიწყო**

— გუნდურ ტურნირს სულ სხვა, გაცილებით დიდი მუხტი აქვს და ეს ქართულ ხასიათში ზის. ბიჭები თავად ხომ ბოლომდე იხარჯებიან, ერთმანეთს სასწაულად ქომაგობენ. უკვე მესამედ გავხდით ევროპის ჩემპიონები. თან წლევანდელ ჩემპიონატზე ერთი დამატებითი სტიმულიც გვქონდა, ნახევარფინალში რუსებს მოვუგეთ. შარშან ხომ მათ გადაგვიღობეს ოქროს გზა.

**— რუსეთი მოქმედი ჩემპიონი იყო, მაგრამ ამჯერად შემადგენლობა გადაახალისა. ოპტიმალური გუნდი არც ფრანგებს შეუკრებიათ. რატომ მოიქცნენ ასე?**

— ამან მეც გამაკვირვა. როგორც გამოჩნდა, საქმეს ყველაზე სერიოზულად ჩვენ მოვეკიდეთ და საწადელსაც მივაღწიეთ. თუმცა მაინც ვერ ვიტყვი, რომ რუსეთს და საფრანგეთს ხელწამოსაკრავი შემადგენლობები ჰყავდათ. უბრალოდ, რამდენიმე ლიდერი ძლიერი ახალგაზრდებით ჩაანაცვლეს.

**— ჩემპიონობის მიუხედავად, ალბათ ნაკრების წევრებისგან ერთნაირად კმაყოფილი არ იქნებით. რომელიმეს ხომ არ გამოარჩევთ?**

— ვერც ავზე ვიტყვი ვინმეზე და ვერც განსაკუთრებულად შევაქებ. წინასწარ ეტაპებზე რამდენიმე ჩვენებურის წაგება ტაქტიკური ნაბიჯი იყო. უკვე გუნდური მოგება გარანტირებული გვქონდა და მომდევნო მეტოქეს საშუალება არ მივეცით, ბოლომდე გავეშიფრეთ. ბიჭებს დავავალეთ, თავი შეენახათ და აქედან გამომდინარე, ინდივიდუალური შეფასებები ცოტა ძნელია.

**— მინდია ხომიზური და გრიგოლ შინჯიკაშვილი აქამდე ნაკრების კანდიდატებად მიიჩნეოდნენ. ამ ევროპაზე კი რამდენიმე უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვეს...**

— ამ ბიჭებმა მართლა მშვენივრად იჭიდავეს. ხომიზური ჩვეულზე ერთი წონით მაღლა დავაყენეთ და, ამის მიუხედავად, ძალიან გაბედულად გამოვიდა. შინჯიკაშვილი მებრძოლი ხასიათით და გახსნილი ჭიდაობით ყოველთვის გამოირჩეოდა და ამ სტილისთვის არც ამჯერად უღალატია. ბრწყინვალე იყო ბეთქილ შუკვანიც, რომლის სახითაც ნესტორ ხერგიანს კარგი შემცვლელი ეზრდება.

**— დავით ქევხიშვილს რა დაემართა, წინასწარი განაცხადიდან რატომ ამოვარდა?**

— დათოს წონის ხშირად კლება სხვებზე მეტად უჭირს. ჯანმრთელობის მხრივ, პრობლემები აქვს ხოლმე და გადავწყვიტეთ, ამ ეტაპზე დასვენების საშუალება მიგვეცა. მის ნაცვლად ხომიზურის დაყენება კი მწვრთნელთა საბჭომ მიიღო..

**— 81 კილოგრამში ნაკრების პირველი ნომერი გიორგი ბაინდურაშვილი განაცხადში კი იყო, მაგრამ ერთხელაც არ უჭიდავია...**

— გიორგი პირველ შეხვედრაში, პოლონელების წინააღმდეგ დავაყენეთ, მაგრამ ამ წონაში მათ არავინ ჰყავდათ და ქულაც უბრძოლველად ავიღეთ. წინასწარ გვქონდა გადაწყვეტილი, მეორე წრეში შინჯიკაშვილს ეჭიდავა. ისე კარგად გამოვიდა, ფინალშიც ის ვაჭიდავეთ და არც გვინანია.

**— ფინალში ბოლო ორი ბრძოლა წავაგეთ. ლომერ ჟორჟოლიანი და ლაშა გუჯეჯიანი შენი გაწვრთნილები არიან. ხომ არ გაგაბრაზეს?**

— სულაც არა. ტატამზე მათ გასვლამდე 3:1-ს ვიგებდით და მთავარი იყო, ორივეს იპონით არ წაეგო. სხვა შემთხვევაში ჩემპიონები ვხდებოდით. ჰოდა, დავალება მივეცით, რისკზე საერთოდ არ წასულიყვნენ. ლომერს მოგებაც შეეძლო, მაგრამ შეგნებულად არ გარისკა, თავის ილეთზე რომ არ წამოგებულიყო. ქულებით წააგო და ევროპის ჩემპიონობაც გავინაღდეთ.

**— ზაზა კედელაშვილიც შენი მოსწავლეა. ბოლო დროს თავის თავს აღარ ჰგავს, ვერა და ვერ აჭიდავდა ჩვეულად. რა არის ამის მიზეზი?**

— პირველ რიგში, ფსიქოლოგიური ფაქტორი. მსოფლიოს ჩემპიონატის უმედლოდ და ულიცენზიოდ მოვლის შემდეგ ზაზას კიდევ ერთ საერთაშორისო ტურნირზე მოეცარა ხელი და ამ წარუმატებლობებმა, ცოტა არ იყოს, გატეხა. ეს მოგვარებადი პრობლემაა. მით უმეტეს, რეჟიმიდან არაა ამოვარდნილი და არც ის სპორტსმენია, რომელსაც გამარჯვებები შეიძლება თავში აუვარდეს. ასე რომ, საგანგაშო არაფერია. ახლო მომავალში საჭიდაო არსენალი კიდევ უფრო მეტად უნდა გავამრავალფეროვნოთ, რადგან მისი სტილი კონკურენტებმა უკვე კარგად შეისწავლეს.

**— პეკინის ლიცენზია 66 და 81 კილოგრამებშილა დაგვრჩა მოსაპოვებელი. ორივეში შევძლებთ?**

— აუცილებლად. 66-ში კედელაშვილს უკვე თითქმის განაღდებული აქვს. შეიძლება, დღევანდელი ქულებიც კი ეყოს, თუმცა, დარწმუნებული ვარ, მარაგს კიდევ გაზრდის. 81-ში კი ჯერ საგრძნობლად გამოკვეთილი ლიდერი არ გვყავს, მაგრამ ისეთი შიდა კონკურენციაა, ოლიმპიადის საგზურს რომელიმე აუცილებლად მოიპოვებს. ამ ეტაპზე ყველაზე მეტი ქულა ბაინდურაშვილს აქვს და სავსებით შესაძლებელია, ერთი მსოფლიოს თასის ჩემპიონობაც კი ეყოს მიზნის მისაღწევად.

**— წლეულს ერთადერთი ტურნირი რჩება. ევროპის აბსოლუტურ ჩემპიონატზე რომელი ქართველი იჭიდავებს?**

— ჯერ არ ვიცი. გუჯეჯიანს ალბათ დავასვენებთ. ოლიმპიურ თამაშებამდე უკვე წელიწადზე ნაკლები რჩება და ჩვენი გეგმის მთავარი ნაწილი პეკინისთვის კარგად მომზადებაა.

**ოთარ ქალაძელიძე**

## ჭადრაკი

# ჯობავამ რუმინელს აჯობა

**რუსეთის** კაცთა ნაკრებმა უკვე სამი ქულით გადაუსწრო მდევრებს და საეჭვოა, ვინმე დაეწიოს. ჩვენმა ჩრდილომეზობლებმა მეშვიდე ტურში ფრანგები დაამარცხეს 2,5:1,5 და ორი მსუყე ქულა დაიმატეს.

ქართველებმა კი რუმინელებს მოუგეს 3:1 და მე-17 ადგილიდან მეთორმეტეზე ალზევდნენ. პარტიები მოიგეს პირველ და მესამე დაფაზე მოთამაშე ბადურ ჯობავამ და ლევან ფანცულაიამ. ბაადურმა შავებით ვლადისლავ ნევედნიჩი დაამარცხა, ლევანმა კი ალინ ბერესკუ. ყაიმებით დაასრულეს შეხვედრა თეთრი ფიგურებით მოთამაშე ქართველებმა — მეორეზე თამაზ გელაშვილი ვლად-კრისტიან ჟიანუს დაუზავდა, ხოლო მეოთხეზე დავით არუთინიანი — ანდრეი მურარიუს.

სამწუხაროდ, წააგეს ქართველმა ქალებმა და ჩემპიონობის შანსი საბოლოოდ დაკარგეს. ჩვენები რუსებთან 1,5:2,5 დამარცხდნენ და ერთი საფეხურით დაქვეითდნენ. პირველი საშ [illegible] რულდა, ბოლო, მეოთხე დაფაზე კი მაია ლომინეიშვილი თეთრებით ეკატერინა კორბუტთან დამარცხდა და გუნდს ვერაფრით დაეხმარა. პირველზე მაი ჩიბურდანიძე ალექსანდრა კოსტენიუკს შავებით დაუზავდა, მეორეზე ლელა ჯავახიშვილი თეთრებით ტატიანა კოსინცევას, ხოლო მესამეზე ნინო ხურციძე შავებით ნადეჟდა კოსინცევას.

**ლუკა გეგეჭკორი**

| | |
|---|---|
| **კაცები** | |
| 1. რუსეთი | 14(20,5) |
| 2. სომხეთი | 11(17) |
| 3. სლოვენია | 10(17) |
| 4. ისრაელი | 10(16,5) |
| 5. აზერბაიჯანი | 10(16) |
| 12. საქართველო | 8(17) |
| **ქალები** | |
| 1. პოლონეთი | 12(20) |
| 2. რუსეთი | 12(19,5) |
| 3. ჰოლანდია | 10(16,5) |
| 4. სომხეთი | 10(16,5) |
| 5. საქართველო | 9(18) |



ბადურ ჯობავა

## კრივი

# ხუანმა მენი ისურვა

**ხუან მანუელ მარკესმა** მსაჯების ერთხმოვანი გადაწყვეტილებით დაამარცხა რიკარდო სუარესი და პირველ მსუბუქ წონაში WBO-ს ტიტული შეინარჩუნა.



მარკესი თავიდან ბოლომდე ფლობდა უპირატესობას და მეტოქეს ძალიან დამაჯერებლადაც მოერია. თორმეტივე რაუნდში ჩემპიონი სიტუაციის ბატონ-პატრონი იყო და მართალია, მეტოქე ნოკდაუნში არ ჩაუგდია, ეჭვი არავის შეპარვია რომ მსაჯებმა სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღეს — 120-118, 118-110 და 117-111, სამივე რეფერიმ მარკესის მხარე დაიჭირა.

ბრძოლის შემდეგ მარკესმა განაცხადა, რომ მომავალში მენი პაკიაოსთან სურს დაპირისპირება.

**კახა ლომჯაშვილი**

## ჰოკეი

### რეგულარული ჩემპიონატი

4 ნოემბერი

**კოლუმბუსი 3:0 სენტ ლუისი**

1:0 1:0 1:0

1:0 მალოტრა (16) 2:0 ნეში (39), 3:0 ჩიმერა (53)

**ჩიკაგო 2:5 ნეშვილი**

1:3 1:0 0:2

0:1 ლეგვანდი (2), 0:2 რადულოვი (4), 1:2 ლანგი (10), 1:3 ერატი (19), 2:3 პერო (30), 2:4 ტუტუ (45), 2:5 არნოტი (60)

**ბოსტონი 1:2 ოტავა**

1:0 0:0 0:1 0:0 (0:1 ბულიტებით)

1:0 კობასიუ (5), 1:1 ვერმეტი (45)

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სარეიტინგო ადი-ჩადი



თინა ყაულაშვილი

გოჩა [illegible] ფოტო

**კაცები**

| | |
|---|---|
| 357 (-4) ლადო ჩიხლაძე | 94 |
| 1245 (-9) ნოდარ ითონიშვილი | 3 |
| 1272 (-333) ირაკლი ლაბაძე | 3 |
| 1456 (+5) გიორგი ხრიკაძე | 1 |
| 1456 (+5) გიორგი ქანტურია | 1 |

**ქალები**

| | |
|---|---|
| 165 (+2) მაკა ჩახნაშვილი | 189,5 |
| 278 (-5) ანა ტატიშვილი | 88,0 |
| 427 (-7) სოფო შაფათავა | 43,0 |
| 558 (+50) თინა ყაულაშვილი | 26,0 |
| 561 (-4) სალომე დევიძე | 25,5 |
| 631 (-6) ოქსანა კალაშნიკოვა | 19,5 |
| 639 (-8) მანანა შაფაქიძე | 19,0 |
| 745 (-3) სოფო ქვაცაბაია | 13,0 |
| 818 (-5) ეკა გორგოძე | 10,0 |
| 830 (-102) სოფო მელიქიშვილი | 10,0 |

**თინა ყაულაშვილი** 2004 წელს, ანუ 17 წლის რომ იყო მაშინ, WTA-ს რეიტინგის 570-ე საფეხურზე იმყოფებოდა. ამის შემდეგ ნიჭიერ ჩოგბურთელს ორი წელი გაუცდა და კორტებს წლეულსღა დაუბრუნდა. ამ დროისთვის თინა პროფესიონალ ქალ ჩოგბურთელთა კლასიფიკაციაში აღარ ირიცხებოდა, მაგრამ მოკლე დროში რეიტინგშიც აღიდგინა ადგილი და აჰა, გუშინ გამოქვეყნებულ ახალ კლასიფიკაციაში ის კარიერის უმაღლეს — 558-ე ადგილზეა.

წინა რეიტინგთან შედარებით ყაულაშვილმა 50-საფეხურიანი ნახტომი გააკეთა და ქართულ ამბავში ეს გახლავთ ყველაზე აღსანიშნავი. სათქმელია, ოღონდაც უარყოფით კონტექსტში, სოფო მელიქიშვილის მორიგი უკუსვლაც — წლის დასაწყისში რეიტინგის მესამე ასეულში მყოფმა სოფომ კიდევ 102 პოზიცია დაკარგა და 830-ე ადგილზე დაქვეითდა.

სხვა მხრივ, რეიტინგებში კვლავაც 15 ჩვენებურია — ხუთი კაცი და ათი ქალი და ყაულაშვილის წინსვლასა და მელიქიშვილის უკუსვლას თუ არ ჩავთვლით, სხვები დაახლოებით ისევ იქ არიან, სადაც ერთი კვირის წინ იყვნენ, ოღონდ… ოღონდ ირაკლი ლაბაძეს თუ არ ვახსენებთ. ტრავმების გამო წლეულს უქმად მყოფმა ირაკლიმ, ვინც ორიოდე წლის წინ ATP-ის რეიტინგის მეხუთე ათეულში იწონებდა თავს, მორიგი ქულები დაკარგა და ერთბაშად 333(!) ადგილით უკან დაიხია — სადღეისოდ საქართველოს სადევისთასო ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი ოდენ სამი სარეიტინგო ქულით 1272-ე ადგილზე იმყოფება.



# ბოლოს ლინდსისა ვთქვათ

**2007 წლის** საჩოგბურთო სეზონი ფაქტობრივად დასრულდა. ახლა სეზონის საუკეთესო მეჩოგნეების დრო მოსულა, რადგანაც მხოლოდ წლის შემაჯამებელი ტურნირებიღა დარჩა — ქალებისა მადრიდში დღეს დაიწყება, კაცები კი აზიას მიაშურებენ და მომავალი სამშაბათიდან გაარკვევენ ერთმანეთში უძლიერესის ვინაობას.

სეზონის მიწურული კი მართლაც დიდებული გამოდგა და ბრწყინვალედ დაგვირგვინდა პარიზის მასტერსის ფინალით, სადაც დავიდ ნალბანდიანმა კიდევ ერთი სასწაული ჩაიდინა. არგენტინელმა წლის ბოლო ორი მასტერსი მოიგო და ამით ფაქტობრივად ჩაგდებული სეზონი მშვენიერ ხასიათზე დაასრულა — მით უმეტეს, რომ მიყოლებით მადრიდსა და პარიზში აქამდე მხოლოდ მარატ საფინს ემარჯვა 2004 წელს. თუმც სასწაულზე საუბრისას იმას უფრო ვგულისხმობთ, რომ არგენტინელმა ესპანეთისა და საფრანგეთის დედაქალაქებში მიყოლებით გააკრა ბეჭებზე თანამედროვების პირველ-მეორე ჩოგნები — როჯერ ფედერერი და რაფაელ ნადალი.

ნალბანდიანმა მადრიდში ნადალი ფინალამდე წააქცია, გადამწყვეტი მატჩი კი შვეიცარიელს მოუგო. პარიზში კი პირიქით მოხდა — არგენტინელი როჯერს მესამე წრეში გაუმკლავდა, ფინალში კი ესპანელს გადაურბინა. ამით დავიდი პირველი მეჩოგნე შეიქნა სეზონის ფარგლებში, მსოფლიოს პირველ-მეორე ჩოგნებს ფინალები რომ მოუგო.

ნალბანდიანმა განსაკუთრებით ესპანელი არ დაინდო, რადგანაც ესპანეთშიცა და საფრანგეთშიც სასტიკად გაუსწორდა. დავიდმა მალიორკელს მშობლიური ტრიბუნების წინ მხოლოდ სამი გეიმი აალებინა, ამ უქმეებზე კი ერთით მეტი დაუთმო. ისიც ვთქვათ, რომ რაფამ პირველ სეტში მეტ-ნაკლებად თანაბრად ითამა, მაგრამ პატაგონიელმა მეცხრე გეიმში ბრეიკი გააკეთა და ჯერ ეს პარტია მიიყვანა გამარჯვებამდე, მეორეში კი ესპანელი სულაც ნულზე გაყინა.

„თავიდან რაფამ მართლაც კარგად დაიწყო, მშვენივრად აწვდიდა და ამიტომ თანაბარი თამაშიც იყო, თუმც მერე ტემპი დავიჭირე და თითქმის უშეცდომოდ დავიწყე თამაში — ლამის ნებისმიერი პოზიციიდან ვიგებდი გათამაშებებს. შეიძლება ითქვას, რომ იდეალურად ვითამაშე" — განაცხადა ნამატჩევს გახარებულმა ნალბანდიანმა.

მეტოქის ქებაში იყო ნადალიც, რომელმაც პირდაპირ განაცხადა, დავიდი დღეს კორტზე საუკეთესო იყო და ისე მძლავრად ითამაშა, შანსიც კი არ მქონდაო.

ფედერერსა და ნადალს კი ახლა საოცნებო აქვთ, რომ ნალბანდიანმა შანხაიში ვერ ითამაშოს. ამაზრზენად ჩატარებული სეზონის გამო არგენტინელი საუკეთესო რვაში ვერ მოხვდა, მაგრამ შეიძლება, ჩინეთში მაინც ითამაშოს. საქმე იმაშია, რომ პატაგონიელი რეიტინგში მეცხრე ადგილამდე ალზევდა და თუ ვინმე შანხაიში ტრავმის ან სხვა რაიმე მიზეზის გამო ვერ მოახერხებს თამაშს, მაშინ დავიდი მის ადგილს დაიკავებს. ასე რომ, ნალბანდიანს ბობოლათა გამწარების კიდევ ერთი შანსი შეიძლება მიეცეს.

ბოლოსკენ კი ლინდსი დევენპორტის კვებეკში გამარჯვება გამოვყოთ. ლამის ერთწლიანი შესვენების შემდეგ ივნისში კორტზე მობრუნებულმა ამერიკელმა უკვე მეორე ტურნირი მოიგო და მომავალ წელს ელიტაში დაბრუნებას სერიოზულად უმიზნებს. ფინალში დევენპორტი იულია ვაკულენკოს ძალიან დამაჯერებლად გაუმკლავდა — 6:4 6:1.

კანადაში ლინდსიმ უკვე 53-ე საკარიერო ჯილდო მოიგო, რითაც ყველა დროის ტიტულოვან ქალ მეჩოგნეთა შორის მერვე ადგილზე მყოფ მონიკა სელეშს გაუტოლდა.

**ქახა ლოგუაშვილი**

# კაცები

## განთესვის რეიტინგი

| | |
|---|---|
| 1. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 6530 |
| 2. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 5535 |
| 3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 4470 |
| 4. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 2775 |
| 5. ენდი როდიკი (აშშ) | 2330 |
| 6. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 2250 |
| 7. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 1905 |
| 8. რიშარ გასკე (საფრანგეთი) | 1830 |
| 9. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) | 1775 |
| 10. ტომი რობრედო (ესპანეთი) | 1765 |
| 11. ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 1755 |
| 12. გილერმო კანასი (არგენტინა) | 1723 |
| 13. ტომი ჰაასი (გერმანია) | 1720 |
| 14. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 1710 |
| 15. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) | 1685 |
| 16. მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი) | 1600 |
| 17. კარლოს მოია (ესპანეთი) | 1585 |
| 18. ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) | 1580 |
| 19. მიხაილ იუჟნი (რუსეთი) | 1570 |
| 20. ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) | 1425 |

## საჩემპიონო რბოლა

| | |
|---|---|
| 1. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 1306 |
| 2. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 1107 |
| 3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 894 |
| 4. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 545 |
| 5. ენდი როდიკი (აშშ) | 466 |
| 6. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 450 |
| 7. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 381 |
| 8. რიშარ გასკე (საფრანგეთი) | 366 |
| 9. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) | 355 |
| 10. ტომი რობრედო (ესპანეთი) | 353 |
| 11. ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 351 |
| 12. ტომი ჰაასი (გერმანია) | 344 |
| 13. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 342 |
| 14. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) | 337 |
| 15. მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი) | 320 |
| 16. კარლოს მოია (ესპანეთი) | 317 |
| 17. ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) | 316 |
| 18-19. გილერმო კანასი (არგენტინა) | 314 |
| 18-19. მიხაილ იუჟნი (რუსეთი) | 314 |
| 20. ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) | 285 |

# ქალები

## განთესვის რეიტინგი

| | |
|---|---|
| 1. ჟუსტინ ენინი (ბელგია) | 5930 |
| 2. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 3750 |
| 3. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 3475 |
| 4. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 3161 |
| 5. სერენა უილიამსი (აშშ) | 2767 |
| 6. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 2666 |
| 7. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 2660 |
| 8. ვინუს უილიამსი (აშშ) | 2470 |
| 9. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 2242 |
| 10. მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) | 2101 |
| 11. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 2022 |
| 12. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) | 1942 |
| 13. ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 1906 |
| 14. ნადია პეტროვა (რუსეთი) | 1899 |
| 15. ტატიანა გოლოვინი (საფრანგეთი) | 1882 |
| 16. დინარა საფინა (რუსეთი) | 1830 |
| 17. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1806 |
| 18. შაჰარ პირი (ისრაელი) | 1675 |
| 19. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 1502 |
| 20. აგნეს სჟავაი (უნგრეთი) | 1331 |

## საჩემპიონო რბოლა

| | |
|---|---|
| 1. ჟუსტინ ენინი (ბელგია) | 5405 |
| 2. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 4097 |
| 3. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 3691 |
| 4. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 3163 |
| 5. სერენა უილიამსი (აშშ) | 2767 |
| 6. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 2698 |
| 7. ვინუს უილიამსი (აშშ) | 2470 |
| 8. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 2431 |
| 9. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 2431 |
| 10. მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) | 2224 |
| 11. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 2023 |
| 12. დინარა საფინა (რუსეთი) | 1973 |
| 13. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) | 1942 |
| 14. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1936 |
| 15. ტატიანა გოლოვინი (საფრანგეთი) | 1919 |
| 16. ნადია პეტროვა (რუსეთი) | 1864 |
| 17. შაჰარ პირი (ისრაელი) | 1699 |
| 18. ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 1538 |
| 19. სიბილ ბამერი (ავსტრია) | 1497 |
| 20. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 1372 |

# წითელ-ყვითელი შემოდგომა
## ვინ მიითვლის ბოლო ფიფილას?

*დღეს საღამოს მადრიდში ქალთა წლის შემაჯამებელი ტურნირი დაიწყება, სადაც ტრადიციულად სეზონის საუკეთესო რვა მეჩოგნე მიიღებს მონაწილეობას. ტურნირის ფორმატი არ შეცვლილა — 8 ჩოგბურთელი ორ ჯგუფს ქმნის, საიდანაც ორი საუკეთესო ნახევაფინალში გადის.*

*ჯგუფების შემადგენლობები უკვე გაირკვა. ყვითელ ჯგუფს სიკვდილისა შეიძლება დაერქვას, რადგანაც აქ ჟუსტინ ენინი, ელენა იანკოვიჩი, სერენა უილიამსი და ანა ჩაკვეტაძე მოხვდნენ. წითელი ჯგუფი კი სვეტლანა კუზნეცოვამ, ანა ივანოვიჩმა, მარია შარაპოვამ და დანიელა ჰანტუხოვამ დააკომპლექტეს.*

*ახლა კი თითოეული ჩოგბურთელის წლევანდელ მონაგარსა და ჯგუფის მეტოქეებთან ურთიერთშეხვედრების ბალანსს მოგახსენებთ*

### ყვითელი ჯგუფი

**ჟუსტინ ენინი** (1) — წლის დასაწყისის პირადი პრობლემების გამო (ქმარს ეყრებოდა) გაცდენის მიუხედავად, ჭინკა ბელგიელმა კარიერის საუკეთესო სეზონი ჩაატარა. ენინმა წლეულს 13 ტურნირზე ითამაშა, ყველაში მინიმუმ ნახევარფინალს უწია და 9 მოიგო (ამათგან „როლან გაროსი" და აშშ-ს ღია პირველობა).

**ელენა იანკოვიჩთან: 8:0 (წლეულს 6:0)**
**სერენა უილიამსთან: 6:6 (3:1)**
**ანა ჩაკვეტაძესთან: 2:0 (1:0)**

**ელენა იანკოვიჩი** (3) — ენინის შემდეგ სერბი წლის უდავოდ საუკეთესო მეჩოგნე გახლავთ. 22 წლის იანკოვიჩმა სეზონში ყველაზე მეტი, 72 შეხვედრა მოიგო. მის ანგარიშზე ოთხი ტიტულია და ალბათ მეტიც იქნებოდა ბელგიელთან სრულიად უუნაროდ რომ არ თამაშობდეს — სერბმა ენინს ოთხი ნახევარფინალი და ერთიც ფინალი დაუთმო.

**ჟუსტინ ენინთან: 0:8 (0:6)**
**სერენა უილიამსთან: 2:2 (0:1)**
**ანა ჩაკვეტაძესთან: 2:5 (1:1)**

**სერენა უილიამსი** (5) — უმცროსმა უილიამსმა წელი დიდებულად დაიწყო და ავსტრალიის ღია პირველობაც მოიგო, მაგრამ სეზონის შემდგომი ნაწილი მთლიანად ენინმა ჩაუშხამა. ჭინკა ბელგიელმა სერენა დარჩენილ სამ სლემტურნირზე გაამწარა, თან სამჯერვე მეოთხედფინალებში.

**ჟუსტინ ენინთან: 6:6 (1:3)**
**ელენა იანკოვიჩთან: 2:2 (1:0)**
**ანა ჩაკვეტაძეს არ შეხვედრია**

**ანა ჩაკვეტაძე** (7) — 20 წლის ჩაკვეტაძეს მშვენიერი სეზონი ჰქონდა. ანამ ოთხი ტიტული მოიგო და კარიერაში პირველად სლემტურნირის ნახევარფინალსაც უწია.

**ჟუსტინ ენინთან: 0:2 (0:1)**
**ელენა იანკოვიჩთან: 5:2 (1:1)**
**სერენა უილიამსს არ შეხვედრია**

ჟუსტინ ენინი მთავარი ფავორიტია




### წითელი ჯგუფი

**სვეტლანა კუზნეცოვა** (2) — კუზნეცოვა ჯგუფის აშკარა ფავორიტია. წლეულს მშვენივრად იჩოგნავა, მაგრამ ფინალების უხეიროდ თამაშის გამო ექვსიდან მხოლოდ ერთი მოიგო.

**ანა ივანოვიჩთან: 1:3 (0:2)**
**მარია შარაპოვასთან: 3:3 (წლეულს არ შეხვედრიან)**
**დანიელა ჰანტუხოვასთან: 6:3 (2:1)**

**ანა ივანოვიჩი** (4) — წლეულს უდავოდ ყველაზე დიდი პროგრესი განიცადა და ელიტაში ქარიშხალივით შეიჭრა. ანამ სამი ტიტული მოიგო, მაგრამ ყურადღება იმით უფრო მიიქცია, რომ „როლან გაროსის" ფინალსა და უიმბლდონის ნახევარფინალში ითამაშა.

**სვეტლანა კუზნეცოვასთან: 3:1 (2:0)**
**მარია შარაპოვასთან: 2:1 (2:0)**
**დანიელა ჰანტუხოვასთან: 1:1 (1:1)**

**მარია შარაპოვა** (6) — სეზონი მშვენივრად დაიწყო და ავსტრალიაში ფინალშიც გავიდა, მაგრამ იქ სრულიად უნებისყოფოდ წააგო და მას მერე მისი ბედი უკუღმა დატრიალდა. რუს პრიმას მთელი წლის განმავლობაში აუხსნელი ჩავარდნები ჰქონდა, რის გამოც მადრიდში მისგან ბევრს არაფერს ელიან.

**სვეტლანა კუზნეცოვასთან: 3:3 (წლეულს არ უთამაშიათ)**
**ანა ივანოვიჩთან: 1:2 (0:2)**
**დანიელა ჰანტუხოვასთან: 4:1 (წლეულს არ უთამაშიათ)**

**დანიელა ჰანტუხოვა** (8) — მადრიდში მხოლოდ იმიტომ მოხვდა, რომ ვინუს უილიამსი ტრავმამ დააბრკოლა, თუმც სეზონის მიწურულს მშვენიერ ფორმაში ჩადგა და ამიტომ სლოვაკთან ყველამ უნდა იფრთხილოს.

**სვეტლანა კუზნეცოვასთან: 3:6 (1:2)**
**ანა ივანოვიჩთან: 1:1 (1:1)**
**მარია შარაპოვასთან: 1:4 (წლეულს არ უთამაშიათ)**

---

მოტორბოლა

## მსოფლიოს ჩემპიონატი. XVII ეტაპი

### ვალენსიის დიდი პრიზი. *რიკარდო ტორმო — 4. 005 კმ*

**მოტო გრან პრი — 120, 15 კმ**

1 დანიელ პედროსა (ესპანეთი, რეპსოლ ჰონდა) — 46წთ; 43,5
2 კეისი სტოუნერი (ავსტრალია, დუკატი მალბორო) — ჩამორჩა 5,5
3 ჯონ ჰოპკინსი (აშშ, რიზლა სუძუკი) — 20,4

**საბოლოო ვითარება**

1 სტოუნერი 367 ქულა; 2 პედროსა 242; 3 ვალენტინო როსი (იტალია, ფიატ იამაჰა) 241; 4 ჰოპკინსი 189; 5 მარკო მელანდრი (იტალია, ჰონდა გრესინი) 187

**250 სმ$^3$ — 108,14 კმ**

1 მიკა კალიო (ფინეთი, რედ ბულ KTM) — 43წთ; 28,3
2 ალექს დე ანჯელისი (სან მარინო, მასტერ აპრილია) — ჩამორჩა 0,4
3 ალექს დებონი (ესპანეთი, რესინგ აპრილია) — 6,8

**საბოლოო ვითარება**

1 ხორხე ლორენცო (ესპანეთი, ფორტუნა აპრილია) 312 ქულა; 2 ანდრეა დოვიზიოსო (იტალია, კოპრონ ჰონდა) 260; 3 დე ანჯელისი 235; 4 ალვარო ბატისტა (ესპანეთი, მასტერ აპრილია) 181; 5 ექტორ ბარბერა (ესპანეთი, ტოტი აპრილია) 177

**125 სმ$^3$ — 96,12 კმ**

1 ექტორ ფაუბელი (ესპანეთი, ბანკახა აპრილია) — 40წთ; 14,2
2 გაბორ ტალმაში (უნგრეთი, ბანკახა აპრილია) — ჩამორჩა 0,2
3 სერხიო გადეა (ესპანეთი, ბანკახა აპრილია) — 0,3

**საბოლოო ვითარება**

1 ტალმაში 282 ქულა; 2 ფაუბელი 277; 3 ტომოიოსი კოიამა (იაპონია, რედ ბულ KTM) 193; 4 ლუკაშ პეშეკი (ჩეხეთი, ზეედორფ დერბი) 182; 5 მატია პასინი (იტალია, პოლარის აპრილია) 174




AFP ფოტოებიდან

სეზონის სამი ჩემპიონი: გაბორ ტალმაში, კეისი სტოუნერი და ხორხე ლორენცო

---

ხელბურთი

# ქუთაისი გადაიდო
## ჩემპიონატის მესამე ტური ისევ თბილისში ჩატარდება

**„სარბიელის"** მკითხველს ეხსომება, რომ ხელბურთის ფედერაცია საქართველოს ჩემპიონატის მესამე წრის თამაშების გამართვას ქუთაისის ახალგახსნილ სპორტის სასახლეში აპირებდა. მაგრამ იმის გამო, რომ სასახლეს ადმინისტრაცია ჯერ არ ჰყავს, ხელბურთელთა მასპინძლობა ვერ მოხერხდება. ამის გამო მესამე წრე ისევ თბილისში, ჯემალ ცერცვაძის სახელობის, ანაც არმიის სპორტული კლუბის დარბაზში გაიმართება. ჩატარების ადგილი და დრო უახლოეს დღეებში უნდა დადგინდეს.

„როდესაც ქუთაისი მასპინძლობისთვის სრულ მზადყოფნაში იქნება, მაშინ მაინც მოუწევს ხელბურთელების მიღება. არ არის გამორიცხული, იქ ასაკობრივი ჩემპიონატის გუნდებმაც ითამაშონ" — გვითხრა ფედერაციის პრეზიდენტმა თამაზ თევზაძემ.

მისივე თქმით, ეს მოედანი სრულად აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს, რაც იძლევა იმის წინა პირობას, რომ იქ მომავალში სხვადასხვა რანგის თამაშები ჩატარდეს. მაქსიმალურად შეეწყობა ხელი იმას, რომ ხელბურთის გეოგრაფია გაფართოვდეს.

აქვე გეტყვით, რომ გუშინ პრეზიდიუმის სხდომა გაიმართა, სადაც ეროვნული ნაკრების მიერ ჩატარებული თამაშების და მწვრთნელთა შტაბის მიერ გაწეული სამუშაო შეფასდა.

ხელბურთელებს და მწვრთნელებს „ჩელენჯ ტროფის" მოგებისთვის მადლობა გადაუხადეს.

ეროვნული ნაკრების მეორე მწვრთნელ იმედო ფხაკაძეს დაევალა, რომ ორი კვირის ვადაში წარმოადგინოს პროგრამა, რომლის მიხედვითაც უნდა წარიმართოს მთავარი გუნდის საქმიანობა 2008 წლის მანძილზე.

**ლევან მაისურაძე**

---

ოლიმპიზმი

# 2010 წლის 2000 სინჯი

**ვანკუვერის** ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე ტურინის ამგვარ ასპარეზობასთან შედარებით ერთნახევარჯერ მეტ დოპინგ-სინჯს აიღებენ. შემოწმება ჩატარდება როგორც შეჯიბრებების, ისე ვარჯიშების დღეებში.

„ნებისმიერ ადგილზე და ნებისმიერ დროს შევებრძოლებით დოპინგის მომხმარებლებს — ამბობს ვანკუვერი 2010-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე ჯერემი ლიუკი — ჩვენ შევეცდებით ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რათა ეს თეთრი ოლიმპიადა დოპინგისგან სუფთა იყოს".

2010 წლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე დოპინგზე 2000 სინჯს აიღებენ (ტურინი 2006-ის თამაშებზე 1200 ტესტი ჩატარდა). ამას გარდა, კიდევ 450 სადოპინგო ტესტი ჩაუტარდებათ იქვე გამართული პარაოლიმპიური თამაშების მონაწილეებს.

**ავთანდილ ბუკიშელი**

# მსოფლიოს თასის მავნე გავლენა
## თემურ ბენდიაშვილი ჩემპიონობას არ თმობს


ბადრი კეთილაძის ფოტო

**პირველ წრეში ჯერ კიდევ „ლოკომოტივმა", ხოლო მეორეში „ლიგამუსად" სახელშეცვლილმა საქართველოს ყველაზე ტიტულიანმა გუნდმა ორივე წრის ჯამში ოთხი მატჩი წააგო. ამას დაუმატეთ თასის ფინალში „ყოჩებთან" დამარცხებაც და თითქოს ჩემპიონატის ბობოლა გუნდის კრიზისიც სახეზეა. მაგრამ განსხვავებული აზრისა „ლიგამუსის" დამრიგებელი და ქართული რაგბის ბერმუხა თემურ ბენდიაშვილი. იგი გუნდის ინერტული თამაშის მიზეზებზე და საერთოდ, საქართველოს ჩემპიონატზე გვესაუბრა**

**— ბატონო თემურ, რა ხდება „ლიგამუსის" თავს, თქვენ თასის ფინალიც წააგეთ...**

— პირველ რიგში აღსანიშნავია და სასიხარულო ის ფაქტი, რომ ჩემპიონატის დონე გათანაბრებულია. მონაწილე გუნდებს თითო თამაშის მოგება ყველასთან შეუძლიათ და ყოველივე ამის მსხვერპლი ჩვენც გავხდით.

ჩემი გუნდის სენს რამდენიმე მიზეზი აქვს, რის გამოსწორებასაც პლეი ოფში ვაპირებთ. მოგეხსენებათ, მსოფლიოს ჩემპიონატი ახალი დამთავრებულია და მასში მონაწილე ვარსკვლავების რაგბობას ჩვენი ბიჭებიც ბაძავენ. კარგი მაგალითის გადაღება სასიხარულო ფაქტია, მაგრამ მსოფლიოს ვარსკვლავების თამაშის დონის მიღწევას წლობით შრომა სჭირდება. ჩემი მორაგბეები კი, შეიძლება ითქვას, გულუბრყვილოდ ცდილობენ მსოფლიოს თასზე ნანახის მოედანზე გამეორებას, რითაც გუნდურობის ჩარჩოებიდან გამოდიან და ამითაც ვზარალდებით.

სხვა საქმეა მორაგბეთა საზღვარგარეთ მიგრაცია. ამ თამაშში ჩახედულებმა იციან, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მოედანზე 12 და 13 ნომრების ფუნქციები. მათ გარეშე თამაშის გაშლა შეუძლებელია. ამ ამპლუებში ჩვენ გვყავდა სამი კვალიფიცირებული მორაგბე. ერთი მათგანი, სანდრო გილაური უბედური შემთხვევის მსხვერპლი შეიქნა. ხაჩირაშვილი და უდესიანი კი საფრანგეთში წავიდნენ კარიერის გასაგრძელებლად. მართალია, ახალბედები ნიჭიერები არიან, მაგრამ გამოუცდელობის გამო თავისუფლად ვერ გრძნობენ თავს მოედანზე. მძიმე ტრავმა მიიღო მთიულიშვილმა, ხოლო გელაძე ასევე საფრანგეთში გადავიდა. ორივე მხტომელთა და მათი სახით სერიოზული ძალა დავკარგეთ.

**— თქვენ თასების ისტორიაში მხოლოდ ერთხელ დაუთმეთ ტიტული სხვა გუნდს, ისიც იმიტომ, რომ შეხვედრაზე არ გამოცხადდით. რა მოხდა ამჯერად?**

— აუცილებლად მინდა აღვნიშნო, რომ მართალია, საერთო ჯამში დავმარცხდით, მაგრამ თვითონ თამაშით არ წაგვიგია. შეიძლება, კარგად არ გამოვიყურებოდით, რასაც მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ თავს ვაბრალებთ, მაგრამ „ყოჩების" გატანილ ლელოში მსაჯმაც შეიტანა მცირე წვლილი. წვიმამ, დასარტყმელი ჯარიმების აუტში გადაგდებამ სავალალო შედეგი გამოიღო. ჯერ მარტო 11 ჩვენი აუტი წავაგეთ, აქედან ექვსი მოწინააღმდეგის ხუთმეტრიანში.

**— პროგნოზს ხომ არ გააკეთებდით? თქვენი აზრით, ვინ გახდება საქარვთელოს ჩემპიონი?**

— ჩემპიონობას ჩვენ ვგეგმავთ. ამაში ხელს ტრადიციებიც გვიწყობს და მორაგბეთა განწყობაც. დაგვემატა ილია მაისურაძეც, გუნდში რჩება ზვიად მაისურაძე. კახიანის, ასათიანის, კვინიხიძის გარშემო კი ნამდვილად შეიძლება საქართველოში დაუმარცხებელი კოლექტივის ჩამოყალიბება.

**— რას გვეტყვით პლეი ოფში თქვენს მეტოქეებზე?**

— „ყოჩები" და „ლელო" ახალგაზრდული გუნდებია. თან მათ ახალბედებს, ჩემებისგან განსხვავებით, მაღალ დონეზე რამდენიმეწლიანი სათამაშო პრაქტიკა მაინც აქვთ და არც რაგბობის სტილი დაეწუნებათ. თსუ კი ჩემპიონატში ყველაზე გრძელი სათადარიგო სკამის პატრონია და უხერხული მეტოქეც გახლავთ.

**— რამ გამოიწვია თქვენი სათადარიგოების სიმეჩხერე?**

— არ გვყავდა მომავალი თაობა. საბედნიეროდ, ახლა ნუკრი სარიშვილმა ითავა ეს საქმე და სხვადასხვა ასაკის მომავალ მორაგბეებს ავარჯიშებს.

**ზურაბ მიგრიაული**

### საქართველოს რაგბის კავშირი
### საქართველოს სარაგბო თემის განცხადება

5 ნოემბერი, 2007 წ

საქართველოს სარაგბო თემი იყო, არის და მომავალშიც იქნება აპოლიტიკური, საზოგადოებრივი გაერთიანება, რომლის მიზანი საქართველოს კეთილდღეობაა.

ჩვენ, ჩვენი ცხოვრების წესით, რომელიც არ შეცვლილა და არც შეიცვლება, დავამტკიცეთ, რომ თემის თითოეული წევრი ყოველთვის იდგა და დღესაც დგას სამშობლოს ინტერესების დამცველთა შორის, როგორც მოედანზე, ასევე მის გარეთ.

ქვეყნის უახლეს ისტორიაში, მორაგბეები ყოველთვის იყვნენ მოწინავეთა შორის: ეს იყო დედა-ენის, ცხრა აპრილის, სამაჩაბლოსა და აფხაზეთის მოვლენები.

საქართველოს სარაგბო თემი, საქართველოს მოსახლეობის განუყოფელი ნაწილი, ყველას მოგმართავთ თხოვნით, თავი შეიკავოთ ვინმეს მხარდასაჭერად პოლიტიკურ პროცესებში ჩვენი ჩართვისგან.

ჩვენ გვინდა წესრიგი, სტაბილურობა, საქართველოს კეთილდღეობა, მისი მთლიანობა. ყოველივე ამისთვის, საქართველოს სარაგბო თემი, დღესაც და მომავალშიც, თავისი თავდადებით იქნება სრულიად საქართველოს ინტერესების დამცველი, მისთვის სიხარულის მიმნიჭებელი, სამშობლოს ჯანსაღი თაობის აღმზრდელი და მოამაგე. ჩვენი დევიზიც ხომ ესაა: ერთი ყველასთვის, ყველა საქართველოსთვის!

# პორტუგალიამდე თავში რუსეთია

**2007-2008 წლის** ევროპის ერთა თასის გათამაშებაში ქართველი „ლელოების" უპრინციპულესმა მეტოქემ, რუსეთის ნაკრებმა, გასვლაზე სძლია მსოფლიოს თასმოვლილ, თუმც ულეგიონეროდ მოთამაშე რუმინელებს და სატურნირო ცხრილში პირველ ადგილზე აღზევდა. ჩვენებს ერთი მატჩით ნაკლები აქვთ ჩატარებული და ამიტომ მეორეზე იმყოფებიან. 10 ნოემბერს პორტუგალიელებთან გამარჯვების შემთხვევაში, „ლელოები" გადაასწრებენ ჩრდილოელ მეზობლებს და პირველ პოზიციას დაიბრუნებენ. გასულ უქმეებზევე ესპანეთმა 46:0 გაანადგურა აუტსაიდერი ჩეხეთი.

**რუმინეთი 12:22 რუსეთი**

**ესპანეთი 46:0 ჩეხეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 რუსეთი | 5 | 4 | 0 | 1 | +80 | 8 |
| 2 საქართველო | 4 | 3 | 0 | 1 | +103 | 6 |
| 3 ესპანეთი | 6 | 3 | 0 | 3 | +23 | 6 |
| 4 რუმინეთი | 4 | 2 | 0 | 2 | +56 | 4 |
| 5 პორტუგალია | 3 | 2 | 0 | 1 | +15 | 4 |
| 6 ჩეხეთი | 6 | 0 | 0 | 6 | -277 | 0 |


ანდრეი კუზინის (მარცხნივ) რუსეთმა კატალინ ნიკოლაუს რუმინეთი დაჯაბნა

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუკრი ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო აბულეჩიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge